

619
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Handwritten signature or text in the bottom right corner of the drawing.

საქართველო

ISSN 0130 1624

საბჭოელი
№ 4 1980 წ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებს უსურვებს სკკპ XXV ყრილობის დადარწმუნებითა შესრულებაში ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნულ სუთელადის დაამთავრებელი წელი.


ლ. ბრეჟნევი



1980 წლის 6 მარტი. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საქართველოსათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ფითელი დროშის გადაცემა.




გაქვის კაშხალი.



80491

საქსიონან-ენბუნკანაქა

ენგურკესის კაშხალი.





კოკი მახარაძე,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

ფ36060



უკვლავება

1921 წლის 21 მაისი იდგა. ამ დღეს რუსეთის სფსრ სახკომსაბჭომ ვ. ი. ლენინის თაოსნობით დაადგინა, საბჭოთა საქართველოსთვის 5 მილიონი ოქროს მანეთი გამოეყო. ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებშივე მიიღო დახმარება სურსათის სახითაც. მარტო 1921 წლის ოქტომბერში საქართველოს საბჭოთა რუსეთიდან გამოუგზავნეს 234 ათასი ფუთი პური, 15 ვაკონი შაქარი, 720 ათასი არშინი ფართალი, 6 ათასი წყვილი ფეხსაცმელი და ბევრი სხვა რამ.

აი, კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: 1921 წლის 7 ივლისს რუსეთის სფსრ სურსათის კომისარიატის როსტოველ რწმუნებულს ლენინმა ასეთი დებეზა გაუგზავნა: „ვითვალისწინებ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადებას გაძღვეთ, ივლისის განმავლობაში გაგზავნოთ თბილისში საქართველოს სასურსათო კომისარიატის მისამართით 100 ათასი ფუთი პური. დებეზის მიღება და შესრულება დამიდასტურეთ. № 80210, 7 ივლისი. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი“.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს მძიმე სასურსათო მდგომარეობა ჰქონდა, 1921-1922 წლებში საქართველოს 950 ათას ფუთზე მეტი პური გამოუყვეს.

დიდი ბელადის თაოსნობით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 750 ათასი ოქროს მანეთი გამოყო გოელროს გეგმით გათვალისწინებული ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. ვ. ი. ლენინის დავალებით 1921 წელს მოსკოვიდან საქართველოში ჩამოიტანეს ქუთაისის მაუდის ფაბრიკისთვის საჭირო სრული მოწყობილობა.

ქართველმა ხალხმა თავისი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ბელადისადმი იმითაც გამოხატა, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანაში, სადაც დიდი ლენინის ბიუსტი დადგეს.

ლენინი პატიოსანი ადამიანებისადმი, თავისი თანამებრძოლებისადმი უსაზღვრო სიყვარულის, მამობრივი და მეგობრული ზრუნვის სანიმუშო განსახიერება იყო. იგი ყოველთვის იძლეოდა უბრალოებისა და თავმდაბლობის ბრწყინვალე მაგალითს. ვ. ი. ლენინი შეუბრალებელი იყო იმის მიმართ, ვინც არღვევდა პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, იჩენდა უხეშობას, უპრინციპობას, ქედმაღლობას, უყოჩიობას.

ერთხელ ლენინს მოახსენეს, რომ სახელმწიფო ბანკის მმართველი მომსვლელებისადმი გულგრილობასა და უხეშობას იჩენდა. ლენინმა გამოიძახა მმართველი და აღელვებულმა ჰკითხა: „ვინ ხართ თქვენ, საიდან მოგდგამთ ეს ყოყიობა, ეს ბატონკაცური ჩვეულებანი? ხალხმა თქვენ სახელმწიფო საგანძღელში ჩაგვსათ, მაგრამ თვითონ მას, ხალხს, შეუძლია გაგაპანდუროს...“

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ამბობდა: „...ძირს ქედმაღლობა, უყოჩიობა, მიღწეულით ტკბობა! ვიცხოვროთ და ვიშრომით ლენინური თავმდაბლობის, პარტიული თავმდაბლობის პრინციპებით! — ასეთია დროის მოთხოვნა“.

ყოველთვის, ყველგან იარო ლენინის გზით, მიბაძო ლენინურ მაგალითებს — ამას მოითხოვდა და მოითხოვს ჩვენი პარტია ყველა ჩვენგანისაგან.

1924 წლის 21 იანვრის სუსხიან დღეს მთელი პლანეტა შეძრა შემზარავმა ამბავმა — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალება.

მოსკოვის ქარხანა „ქრასნი ბოგატირის“ მუშები იმ დღეებში წერდნენ: „ლენინი აღარ არის ჩვენთან, მაგრამ მან დაგვიტოვა ფოლადის, ბურჟუაზიასთან სისხლიან ბრძოლებში გამობრძმედილი, მუშათა კლასის ნდობით აღსავსე ძლიერი, დიდი კომუნისტური პარტია, რომელიც ცხოვრობს და იცხოვრებს ვლადიმერ ილიას ძის ანდერძით და ნაბიჯითაც არ დაიხევს უკან დასახული გზიდან“...

ლენინი ცხოვრობდა და მუდამ იცხოვრებს ამ მუშების გულში, ყველა მშრომლის, მათი შვილებისა და შვილიშვილების შრომასა და ბრძოლაში, დღევანდელი დღისა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის შენებაში.

ლენინმა უკვდავი ნაწარმოებები დაგვიტოვა. მან დაწერა ათეულობით წიგნი და ბროშურა, ათასობით სტატია, წერილი. მისი ნაწერები შეიცავს 55 ტომს, რომ-

ლენინი!

ეს უკვდავი სახელი გარემოცულია ყველა მშრომლის სიყვარულით და პატივისცემით. ისინი ყოველთვის უდიდესი მოკრძალებით ხრიან თავს და ამბობენ: „ლენინი ცოცხლობს!“

ცოცხლობდა, ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს ლენინი — კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი.

დიდებულად უღერს სტრიქონები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ:

„გაუმარჯოს ლენინიზმს — რევოლუციური ბრძოლის, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის დროს!“

დაე, საუკუნოდ ცოცხლობდეს დიდი ლენინის სახელი და საქმე“.

ლენინის უკვდავ სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების, მშრომელი ხალხის ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვებების მთელი ისტორია.

შეღალი იძლეოდა საჭირო რჩევა-დარიგებებს, მითითებებს, წარმართავდა მასების მრავალფეროვან მუშაობას და ბრძოლას.

ვ. ი. ლენინი პირადად იცნობდა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის გამორჩენილ მოღვაწეებს, ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის იჩენდა დიდ სიბოძასა და ზრუნვას საქართველოს მიმართ.

მცირემიწელთა მილოცვა

ძვირფასო ლენინი ილიას ძე! ჩვენ, ადამიანებს, რომლებსაც ბედმა გვარგუნა დიდი სამამულო ოპის ქარიშხლიან დღეებში თქვენს მხარდამხარ გვებრძოლა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ და საკუთარი თვალთ გვეხილა თქვენი გმირული შემართება, უსახლვრო სიხარულს გვანიჭებს ჯადიბული წიგნების „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირის“ საყოველთაო აღიარება — უკვდავი ლენინის სახელობის პრემიით დაჯილდოება.

მცირე მიწის ბრძოლების მონაწილეთა სახელით სულითა და გულით გილოცავთ თქვენი ტრადიციისათვის ამ მაღალი ჯალდოს მინიჭებას და გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ყველა ნიშვილობისმოყვარე ადამიანის გასახარად!

მცირემიწელთა სახელით — არტემ აზირაივი, თამარ გოთუა, გიორგი გოჩიბაშვილი, შოთა თათარაშვილი, გიორგი იშხანოვი, პოლიკარპე კასრაძე, გიორგი ლომიძე, ალექსანდრე ქავთარაძე, დიმიტრი ჯაბუა.

თბილისი, 2 აპრილი.



ლენინის თხზულებები პართულად

ღევი სტურუა,

საპარტფელოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საპარტფელოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ნაწარმოებების გავრცელება საქართველოში მაშინ იწყება, როცა მუშათა მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა რევოლუციური ბრძოლის გზაზე გამოდიოდა და, ბუნებრივია, ინტერესი რევოლუციური ლიტერატურისადმი სულ უფრო იზრდებოდა.

მიხა ცხაკაია ერთ-ერთ მოგონებაში წერს, რომ ქუთაისის მარქსისტულ ჯგუფს უმაღ კავშირი დაუმყარებია ვ. ი. ლენინთან, როგორც კი წაუკითხავთ გაზეთ „სამარსკი ვესტნიკის“ 1895 წლის ნომერის ნომერში კ. ტ.-ნის ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია „გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები“. შემდეგ საქართველოში ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა ლენინის სტატია „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ“, სტატია-ნეკროლოგი „ფრიდრიხ ენგელსი“, „ნაროდნიკობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“, „ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ და სხვ.; მაგრამ ლენინის თხზულებების თარგმნა უფრო მოგვიანებით დაიწყო, როცა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ 1903 წლის აპრილ-მაისის ნომერში გამოქვეყნდა „ცნობა „საორგანიზაციო კომიტეტის“ დაარსების შესახებ“, „თვითმპყრობელობა ირყევა“, „ნიჟინოვგოროდელი მუშების მიერ სასამართლოში წარმოქმნილი სიტყვების წინასიტყვაობა“, რომლებიც მსოფლიოში ლენინის თხზულებათა პირ-

ველ თარგმანებად უნდა მივიჩნიოთ. ეს სტატიები „ისკრიდან“ იყო გადმოთარგმნილი.

1904 წლის თებერვალში ჟენევაში რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა სომხური და ქართული პარტიული სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის საგამომცემლო კომისია, რომელსაც ს. შაუმიანი ხელმძღვანელობდა. მეორე მხრივ, პარტიული ლიტერატურის თარგმან-გავრცელების საქმეს ენერგიულად მოჰქვიდა ხელი რსდმპ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტმა.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა 1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. 1905 წელს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა დიდი ბელადის „რევოლუციონური დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობის“.

იმავე წელს გამოვიდა ვ. ი. ლენინის „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობას“, რომელშიც გასაგები ენით განმარტებული იყო, თუ რა სურთ სოციალ-დემოკრატებს, როგორ მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა სოფლად. აღსანიშნავია, რომ მთარგმნელს ვ. ი. ლენინის ტექსტში საქართველოს მაგალითებიც ჩაურთავს, რათა უფრო გასაგები გაეხადა იგი ქართველი მკითხველისათვის.

ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმიანობის ასე გაფართოება მიზნად ისახავდა, რომ მასებისათვის პოლიტიკური ლიტერატურის მეშვეობითაც ეხელმძღვანელათ. ლენინი ბევრს წერდა პოლიტიკური ლიტერატურის

მნიშვნელობაზე. ამავე დროს იგი ადგილობრივ ორგანიზაციებს სწერდა: პარტიის ყველა გამოცემა მთელი პარტიის კუთვნილებაა, თქვენ შეგიძლიათ ისინი შეავსოთ, შეცვალოთ, შეამციროთ და სხვა, რადგან ადგილობრივ უფრო ხედავთ, რაა საჭიროო (ტ. 9, გვ 353). სწორედ ამ პრინციპით გამოვიდა ქართულად ვ. ი. ლენინის ზემოხსენებული ბროშურა.

1917 წლიდან, როცა ცარიზმი დაემხო და ბოლშევიკები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ, იწყება ბოლშევიკური ორგანიზაციების და პრესის აღდგენა. თბილისის ბოლშევიკები მყისვე შეუდგნენ საგამომცემლო საქმიანობას. დაიწყო გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა, რომლის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ლენინის სტატიები და სიტყვები. 1918 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ისეთი მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი, როგორცაა „სახელმწიფო და რევოლუცია“. 1920 წლის ივლისში გაზეთმა „საქართველოს კომუნისტმა“ გამოაქვეყნა „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში“, „წერილი ინგლისელ მუშებს“ და სხვა სტატიები.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ წიგნი სახელმწიფოს მზრუნველობის საგნად იქცა. განუზომლად გაიზარდა რიცხვი ლენინის ნაწარმოებებისა, რომლებიც ქართულ ენაზე ითარგმნა. ამ გამოცემებმა ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი მიიღო. 1922 წლიდან დღემდე საქართველოში გამოვიდა ვ. ი. ლენინის ყველა ნაწარმოები, რომელიც კი გამოუქვეყნებია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს.

1918—1968 წლების მანძილზე საქართველოში მოსახლე ერების ენებზე ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები 290-ჯერ გამოვიდა 2750 ათასზე მეტი საერთო ტირაჟით, აქედან ქართულ ენაზე 264 გამოცემა იყო, რომელთა საერთო ტირაჟი 2700,7 ათას ეგზემპლარს შეადგენდა. 1920—1924 წლებში ქართულად გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემის 14, 18, 19 ტომები (ეს გამოცემა სრულად არ უთარგმნიათ). 1928—1939 წლებში გამოდიოდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემების (ეს გამოცემები ერთმანეთისაგან მხოლოდ ტექნიკური გაფორმებით და ტირაჟით განსხვავდებოდა)

დიდი ნაწილი პარალელურად გამოდიოდა ვ. ი. ლენინის რჩეული ნაწარმოები: 1933—1935 წლებში — ექვსტომეული. 1935—1937 წლებში — ორტომეული, და 1964—1967 წლებში — სამტომეული. 1948—1974 წლებში გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემა, რომელშიც დიდი ბელადის 2927 ნაწარმოებია შესული.

ლენინის თხზულებათა გამოცემას თავდაპირველად ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. კახიანი, ბ. ლომინაძე, კ. ორაგველიძე და ს. თალაქვაძე. შემდეგ, 1933 წლიდან საერთოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თარგმნისა და გამოცემის საქმეს სათავეში ჩაუდგა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, რომელმაც ამ საქმიანთვის რესპუბლიკის საუკეთესო ძალეები მოიზიდა.

დღეს არ შეიძლება მადლიერების გრძობით არ გავიხსენოთ ისეთი გამოჩენილი პარტიული მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები და ლიტერატორები, როგორებიც იყვნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, ნ. კიკნაძე, პავლე და მიხეილ საყვარელიძეები, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ი. ვაშაყმაძე, ქ. რაჭველიშვილი, ი. ალაძე, შ. შარაშიძე, ს. შონია, ვ. მგალობლიშვილი, გ. ციციქიშვილი, გ. კვარაცხელია, შ. ასათიანი, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ვ. ი. ლენინის თხზულებათა ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის საქმეში.

განუზომლად წარმოგვიდგება მათი ღვაწლი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ვ. ი. ლენინის და საერთოდ მარქსიზმის კლასიკოსთა თხზულებების თარგმნისა და გამოცემის პროცესში გამდიდრდა ქართული ენა,



დაიხვეწა და დაზუსტდა მეცნიერების ბევრი დარგის ტერმინოლოგია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 20 აპრილის ბრძანებულებით საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მთარგნელები შ. გამყრელიძე, გ. კვარცხელია, ვ. მგალობლიშვილი და ნ. მშველიძე.

მოთხოვნილება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებზე წლითიწლობით იზრდება იმიტომ, რომ მსოფლიოს სულ უფრო მეტი ხალხი ადგას სოციალიზმის გზას. მათ მართებულად მიაჩნიათ, რომ სოციალიზმი არის ის პროგრესული წყობილება, რომელიც კაცობრიობას კეთილ მომავალს უქადის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუ ამ ნახევარი საუკუნის წინათ ბიბლია იყო წიგნი, რომელსაც თარგმნიდნენ მეტი წილი ხალხები, დღეს ამ მხრივ პირველობა ვ. ი. ლენინის თხზულებებს უკავია, თხზულებებს იმ ადამიანისა, „ვინც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა რევოლუციის საქმეს, ვინც პროლეტარიატის სამსხვერპლოზე მიიტანა მთელი თავისი არსება, ვისი ნაფიქრ-ნაგრძობი არის და მუდამ იქნება მშრომელი მასის ყველა ნამდვილი მოყვრის ხელისხელ საგომანებელ წიგნად“... (საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1923 წლის იანვარში).

ამ სიტყვების ნათელი დადასტურებაა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გავრცელება. გასული საუკუნის დამლევინდან ამ საუკუნის 70-იანი წლების დამდეგამდე სსრ კავშირსა და უცხოეთის ქვეყნებში ლენინის ნაწარმოებები გამოვიდა 14387-ჯერ მსოფლიოს 150 ენაზე.

ვ. ი. ლენინის პიროვნებისა და ლენინიზმისადმი ინტერესით უნდა ავსხნათ ის ფაქტიც, რომ 1918—1968 წლების მანძილზე სსრ კავშირში გამოვიდა 7519 წიგნი და ბროშურა ლენინის თემაზე. აქედან საქართველოში გამოცემულია 209 წიგნი და ბროშურა. ეს ციფრი არ შეიცავს ლენინზე გამოქვეყნებულ მხატვრულ და საბავშვო ლიტერატურას.

ლენინის წიგნები ხელმისაწვდომია ყველასათვის. ისინი სიმართლის სხივებად იჭრებიან მშრომელი ადამიანების გულებში.

ლენინი



გალაკტიონ ტაბიკა

* * *
გგონია იქნებ გზას გავიგნებდით,
გზას გაიგნებდა წყვილიაღში თვალი,
ბრძენი ლენინი კლდედ რომ არ ჩანდეს,
შეურყვევლი, მაგარი, სალი!

ალიო მირცხულავა

ლენინის მოედანი

კვარცხლებეზე დროშა აუტანიათ,
მტკვრიდან მზე ბრწყინავს მნათობის გვერდით,
ეს განა მართო მოედანი, —
არამედ ქართულის მგზნებარე მკერდი.

მის მედგარ ბრძოლებს, მის დიად ამაგს
ყველგან სიმართლე დაუდგენია,
ვფიცულობთ ლენინს, ხალხების მამას,
დიდი რუსეთის უკვდავ გენიას.

ჩვენ მისი აზრი, რომ გვათბობს ეხლაც,
მზის და სიცოცხლის შუქად მოგვედო,
და ხალხსაც უნდა, ლენინის ძეგლად
თვით იალბუზის კლდეც გამოკვეთოს.

მტერმა ვერასდროს ვერ გადათულოს
დროშა, ძეგლად რომ სხივებში მოჩანს,
ჩვენს დედა თბილისს, ჩვენს საქართველოს
მუდამ ფარავდეს ლენინის დროშა.

გიორგი ლაონიკა

* * *
...შკვეთავს ლენინის აზრი სმალივით,
და ალმასივით არ ილუნება,
უძლეველია ქარიშხალივით,
აზვითებული მისი ბუნება.

იოსებ ბრიშაშვილი

შენ დაიბადე აპრილის თვეში

შენ დაიბადე აპრილის თვეში,
როცა ილვიძებს მინა გამოთბარი,
როცა მწვანდება სხივების თქეშით
ჩვენი ქუჩები, ჩვენი მთა-ბარი.

აბა სად გვეყავა ჩვენ მოამაგე?
სიმართლის მარცვალს ელოდა ხნული,
მოხველ და კვირტმა გააპო ბაგე
და დაუმკვიდრე ხალხს გაზაფხული.

ჩვენი მეგზური მარად შენა ხარ,
სტალინმა გვიტოხრა ჯერ კიდევ ოდით:
ლენინის ქუჩა ჯერ არ გვენახა,
მაგრამ ლენინის გზით მივდიოდით.

ლენინის დროშამ გაუძლო დრო-ჟამს,
ხარობს ქვეყანა დოვლათით სავსე,
ლენინის დროშა, ლენინის დროშა
ლალად ფრიალებს მოსკოვის თავზე.

ალექსანდრა აბაშელი

ლენინის გული

ჩემი ქვეყანა დგას ჩემს წინაშე,
როგორც ზღაპარი შემონახული.
თითქოს ელვარე ოქროს წვიმამში
აყვავებული ქუხს გაზაფხული.

მე, ამ ქუხილის სმენით გართული,
მომავლისაკენ რომ ვიყურები, —
ვარსკვლავებისკენ ჩანს ამართული
ლაჟვარდოვანი საფეხურები.

და თვალშეუდგამ მწვერვალის თავზე
მოჩანს მშვენება ჯერ არნახული, —

გმირული შრომის ნაყოფით სავსე
კაცობრიობის დიდი ზაფხული.

მაგრამ მე ვამბობ, კაცი პატარა,
რომ იმ მწვერვალზე უფრო მაღლა ვარ,
რადგან არწივის ფრთებმა მატარა,
რადგან სამშობლოს დროშას ვახლავარ,

რადგან ბრძოლათა მღელვარე ზღვაში
მე განვიცადე სიამე სრული,
მით, რომ ვცხოვრობდი ამქვეყნად მაშინ,
როცა ფიქვად ლენინის გული.



მერი ნიკლაური,
საპარტიო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ნორჩი ლენინელი

მერდზე აღისფერი ყელსახვევი უფრიალბოთ, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებოთ — ესენი ნორჩი ლენინელები არიან, ჩვენი იმედო, ჩვენი ხვალისდელი დღის მომავალი.

57-ე წლიდან, რაც ჩვენი ქვეყნის პიონერული ორგანიზაცია დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს ატარებს. ნორჩი ლენინელები გატაცებითა და შეუპოვარი შემართებით ცდილობენ, მუდამ ღირსეულად ატარონ ეს ძვირფასი სახელი. მათი უპირველესი ამოცანაა, საქმით დამტკიცონ ილიჩის ანდერძისადმი ერთგულება. თაობიდან თაობას გადაეცემა პიონერთა დევიზი „მუდამ ხალხთან, პარტიასთან ერთად, უფროსების მხარდახმარ!“

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღეებში მთელ ქვეყანას მოეფინა პიონერული მარშის დევიზის მრავლისმეტყველი სიტყვები: „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“

ვ. ი. ლენინის დაბადების წლებიდან დასაწყისიდან ჩვენმა აღსფერყელსახვევიანმა გოგონებმა და ბიჭუნებმა ლენინურ კვირეულად გამოაცხადეს, ხოლო 22 აპრილს საკავშირო პიონერული ხაზი მოეწყო — ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში პიონერულ ხაზზე დადგება ყველა რაზმი და რაზმეული. პიონერები თავიანთი საქმიანობის პატაკს ჩააბარებენ პარტიას, კომკავშირს, ომისა და შრომის ვეტერანებს, სოფლებსა და ქალაქების სახელოვან ადამიანებს.

სათქმელი და საამაყო კი ძალზე ბევრი აქვთ ნორჩ ლენინელებს.

დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი ახალგაზრდა თაობას მიმართავდა — „მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები“. ჩვენი პიონერები არ ღალატობენ ამ ანდერძს. ისინი შესაძლებლობას, უნარსა და გარჯას არ იშურებენ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო-სახალხო საქმეში.

პკითხეთ ჭალარა მეზურეებს, როგორი გულისყურით უვლიან და ესათუებოიან ვენახს პიონერები; გაზაფხულზე, როცა ჩაის ბუჩქებზე დუყები მოხვავდება, უფროსებთან ერთად შრომაში გამართულ ხმანკრიალა პიონერებსაც ნახავთ ჩვენი რესპუბლიკის თვალუწვდენელ პლანტაციებში.

დაუვინყარი სახეიმი მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბ-

ჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრენენეის მისაღებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ქებით მოიხსენია საქართველოს მოსწავლეები, რომლებმაც კეთილი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეჩაიეთა დიდ გამარჯვებაში.

სუბტროპიკული რაიონების პიონერულ რაზმეულებში შექმნილია ნორჩ მეჩაიეთა ბრიგადები. ამ ბრიგადებს ყველგან ჰყავთ „მწვანე ფრონტის“ მონინავეები. ისინი მხარს უსწორებენ ნათელა ჩელებაძისა და ასმათ ბაუჭაძის სამაგალითო საქმეებს.

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს შევახსენებთ, რომ ნათელა ჩელებაძეს, როცა იგი ჯერ კიდევ პიონერი იყო, ჩაის პლანტაციაში თავდადებული შრომისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, მეექვსეკლასელი ასმათ ბაუჭაძე კი კოლმეურნეობაში მიღებული წარმატებებისთვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

დიახ, პიონერული ორგანიზაცია ნორჩ ლენინელებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სახელოვან ადამიანებად ზრდის. საზოგადოებრივ საქმეებში აქტიური მონაწილეობით პიონერთა ორგანიზაცია ნორჩ თაობას უნერგავს კომუნისტურ თვისებებს, ასწავლის ხალხის სამსახურს, სამშობლოსათვის თავდადებას.

ჯართისა და მაკულატურის შეგროვება, ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო საქმეა. მაგრამ თითოეული ბავშვის მიერ შეგროვებული რამდენიმე კილოგრამი ჯართი თუ მაკულატურა, საერთო ჯამში, ათეულ ტონებს ქმნის და დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს ემსახურება. შარშან ჩვენმა ნორჩმა ლენინელებმა იმდენი მაკულატურა შეგროვეს, რომ მოჭრისაგან გადაარჩინეს ოცი ათასი ჰექტარი ტყის ფართობი. ბავშვების მიერ შეგროვებული ჯართი — წელს ამურის მაგისტრალს რელსებად მოვევლინა; ჩვენი სამშობლოს ფოლადის მაგისტრალზე ლაღად დაქრია პიონერთა მიერ შეგროვებული ფოლადისგან დამზადებული ელექტრომაგლები, რო-

მლებსაც ამშვენებს ნარნერა: „საქართველოს პიონერი“, „საკოლმეურნეო მინდვრებში გუგუნებენ მცირე-გაბარიტიანი ტრაქტორები ნარნერით: „ქუთაისელი პიონერი“. ნორჩ ლენინელთა მიერ შეგროვებული ჯართი მოხმარდა ენგურჰესის აგრეგატების დამზადებას.

ქალაქებისა და სოფლების შემოგარენს, გზებს, ეზოებს, მთებსა თუ ფერდობებს ამშვენებენ ბავშვების ხელით გაშენებული ხეივნები.

რაოდენ სასიამოვნოა, რომ ჩვენმა პიონერებმა ასე ახლოს მიიტანეს გულთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მონოღება საქართველოს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევის შესახებ. ბავშვების ამ გატაცებაში, ამ მისაბამ შემართებაში ნათლად ჩანს საქმისადმი, ხალხის ინტერესებისადმი ჭეშმარიტად ლენინური დამოკიდებულება.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის 1.131 ფერმაზე ფრიალებს „პიონერმშენის“ ალამი. ბავშვები უვლიან პირუტყვს, საკვებმომპოვებლებს 1.610 პიონერული ბრიგადა ეხმარება თივისა და მწვანე მასის დამზადებაში.

ბელადის სახელთან არის დაკავშირებული პიონერების მიერ მოწყობილი ლენინური სასკოლო მუზეუმები, ლენინური ბაღები, ლენინური ხეივნები. პირველად ბელადის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშენდა ლენინური ბაღი. ამ საქმის ინიციატორები მაშინ ჩოხატაურელი პიონერები იყვნენ; ბელადის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო გაზაფხულზე რესპუბლიკას მოეფინა ქობულეთელ პიონერთა მონოღება — „გავაშენოთ ლენინური ბაღები“ ახლა კი ამ შვილიშვილო საქმის თაოსანთა ჩამოთვლა ძნელია: რესპუბლიკის პიონერები ერთხმად შეუდგნენ ლენინური ბაღებისა და ხეივნების გაშენებას.

ბელადის სახელთან არის დაკავშირებული ნორჩ პატრიოტ-ინტერნაციონალისტთა ახალი თაოსნობაც. ცნობილია, რა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს პიონერებმა შანოს პიონერთა სასახლის აგებაში. მათ უამრავი შაბათობა მოაწყვეს და თავიანთი შრომით გამოუმშავებული პიონერული თანხა მოძველებულ პიონერული თანხა მოძველებულად გადაიტანეს. ჩვენმა პიონერებმა ასევე ათიათასობით მა-

ნეთი გადარცხეს ანგოლელ ბავშვთა დასახმარებლად. პიონერულმა რაზმებმა ერთხმად აიტაცეს ბაღი-აურელთა ნამონყება — 1980 წლის გაზაფხულის პირველ შაბათობაზე გამოუმშავებული პიონერული თანხის კამპუჩიელ ბავშვთა დახმარების ფონდში შეტანის შესახებ.

ჩვენ გვახარებს საქართველოს ნორჩ ლენინელთა ინტერნაციონალიზმი, გვამაყვება იმის შეგრძნება, რომ მათ ასე ახლოს მიაქვთ გულთან საერთაშორისო სოლიდარობის იდეა.

შრომაში ბეჯითები სწავლაშიც სასახელიანი არიან. პიონერებს დროსაზე აქვთ ნარნერილი დიდი ლენინის სიტყვები „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება განდევნოს, თუ მესხიერებას გაიმდინრებ ცოდნის იმ მარაგით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია“. მრავლდება მარჯვენაფლანგელი პიონერული რაზმებისა და რაზმეულების რიგები. ეს ის რაზმებია, რომლებშიც ყველა კარგად სწავლობს, რომლებსაც გულში აქვთ ჩანერილი დიდი ბელადის სიტყვები: „სწავლა, სწავლა და სწავლა“.

ბავშვები ჩვენი მომავალია; საზოგადოება დიდად არის დაინტერესებული მათი ცხოვრებით, საქმიანობით, საყოფაცხოვრებო პირობებით. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ბავშვის — მომავალი თაობის ინტერესებში არის გამსჭვალული, ცხოვრების კანონად არის ქცეული ლენინის სიტყვები „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“

„მშვიდობა — ეს არის ბავშვთა ბედნიერება, ყველა ადამიანის ბედნიერება, უმშვიდობოდ ბავშვობა არ არსებობს, უმშვიდობოდ მომავალი არ არსებობს... არ მოგკლავოდეთ, ძვირფასო ბავშვებო, სიხარული, სიკეთე, მშვიდობა და მზეგრძელობა!“ — ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები, რომლებიც მან შარშან „არტკეში“ გამოსვლის დროს წამოთქვა, ნათლად გამოხატავს ჩვენი პარტიის, ყველა საბჭოთა ადამიანის გულისტემას.

ჩვენი ბავშვები პიონერულ დაპირებას გვაძლევენ, რომ ისე ისწავლიან, იშრომებენ და იცხოვრებენ, როგორც დიდმა ლენინმა გვიანდერძა, როგორც კომუნისტური პარტია გვასწავლის. გვეჯერა, რომ ისინი სამშობლოს სასახლო შვილები, კომუნისმის ღირსეული მშენებლები გაიზრდებიან.



ქარტი ახსანაბი

როდინე ქორჟია



ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ნორჩი თაობის უსაყვარლესმა მემკვიდრემ როდინე ქორჟიამ, რომელიც ამაჟამად 85 წლისაა და კვლავაც დაუღალავად მონაწილეობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არაერთი მშვიდნიერი ნაწარმოები მიუძღვნა გლადიმერ ილიას ძე ლენინს.

ვაჟაჟაშვილმა მწერლის მოთხრობებს წიგნიდან „ქარტი ახსანაბი“.



დედა

ლენინს ძალიან უყვარდა დედა და ხშირად უგზავნიდა გადასახლებიდან თუ ემიგრაციიდან წერილებს. ყველა წერილი ასე იწყებოდა: „ძვირფასო დედიკო!“ ყველა წერილი ასე თავდება: „მაგრად გეხვევი, ჩემო ძვირფასო, და გკოცნი!“

ლენინს ძალიან უნდოდა, რომ დედა სულ მასთან ყოფილიყო ევროპაში. დედას კი არ შეეძლო. ლენინის ყველა დამატება რევოლუციონერი იყო და ხან ერთი იჯდა ციხეში, ხან მეორე. დედა მუდამ ციხის კართან იდგა, ეხმარებოდა შვილებს, ამიტომ ვერ ასრულებდა ლენინის თხოვნას. მან მხოლოდ ორჯერ შეძლო ლენინთან ჩასვლა ევროპაში. ერთხელ 1902 წელს საფრანგეთში ჩავიდა ერთი თვით, მეორედ კი — შვეიცარიაში.

დედა და შვილი ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიის დედაქალაქ სტოკჰოლმში. დედა ლენინთან ცოტა ხანს დარჩა. დაბრუნებისას ლენინმა დედა ნავსადგურამდე გააცილა და ბაქანზე გამოეთხოვა. გემზე ასვლაც კი არ შეეძლო, რადგან გემი რუსეთისა იყო და დააპატიმრებდნენ. ასეთი იყო მეფის კანონი.

დიდხანს ეთხოვებოდა ლენინი დედას. ხოლო როცა გემზე ავიდა, დიდხანს სევდიანად უყურებდა მას...

ლენინის დედამ ბევრი უბედურება გადაიტანა. ქმარი ადრე გარდაეცვალა. უფროსი შვილი ჩამოუხრჩვეს, ერთი შვილი ადრე მოუკვდა, დანარჩენი ოთხი შვილი რომ წამოიზარდა, ხან გადასახლებაში იყვნენ, ხან ემიგრაციაში, ხან ციხეებში. მაგრამ დედა სულით არ დაცემულა. არასოდეს უსაყვედურებია შვილებისათვის, რატომ აიარჩიეს რევოლუციური გზა. ჭკვიანი ქალი იყო და იცოდა, რომ შვილები სამართლიანი ცხოვრებისათვის იბრძოდნენ.

ახლაც, განშორებისას, ბრძოლის ველზე ტოვებდა შვილს.

1910 წელი იდგა. ჯერ კიდევ მტკიცედ იჯდა მეფე თავის ტახტზე. ჯერ კიდევ შორს იყო რევოლუცია. მაგრამ ლენინს სჯეროდა გამარჯვებისა და დედასაც სჯეროდა ეს. ოღონდ როდის გაიმარჯვებს შვილის საქმე?

დედა სამოცდათხუთმეტი წლისა... როდის დადგება ის ბედნიერი დღე, რომ შვილთან ერთად თავისუფლად იცხოვროს თავის ქვეყანაში, რომ აღარ ეშინოდეს შვილთან დაშორებისა?

აი, შორდება ახლა შვილს და, ვინ იცის, როდის ნახავს? ან ნახავს კი?

და ამ რკინის ქალს ცრემლები მოერიან; დგას გემბანზე, უყურებს შვილს, უნდა გაამხნევოს თავისი ღიმილით, დედის ღიმილით. იცის, რომ დიდი ძალაა დედის ღიმილი...

მაგრამ ცრემლები? რატომ წამოუვიდა ცრემლები? ეგებ იმიტომ, რომ ეს ორმოცი წლის კაცი ისევ პატარად წარმოიდგინა დედამ?.. დედისათვის შვილი ხომ ყოველთვის პატარაა? ეგებ იმიტომ, რომ გული ეუბნება: უკანასკნელია ეს შეხვედრაო?..

ჰო, გული... დედის გული...

მართლა თუ იგრძნო დედის გულმა, რომ უკანასკნელი იყო ეს შეხვედრა. დედა 1916 წლის ივლისში გარდაიცვალა.

ვერ დაიტოვა ლენინმა დედა... ძვირფასი დედა...

ძვირფასი წვლილი

ზარაფხანაში არაჩვეულებრივი მიტინგია. ჩვეულებრივ მიტინგს წინასწარ აცხადებენ ხოლმე. ეს მიტინგი კი მოულოდნელად, სახელდახელოდ შედგა. აუშვეს საყვირი, ქარხანამ დაიგუგუნა და მუშები ეზოში გამოვიდნენ. ვიღაცამ ცარიელი ყუთი მოარბენინა. ერთი



ჭალარა მუშა იმ ყუთზე შედგა და თქვა:
— ამხანაგებო, ვოლგისპირეთში შიმშილია! მთელი ჩვენი ქვეყანა აგროვებს დამშეულთათვის შენირულებას. ვისაც შეუძლია, ოქროს ნივთებსა და ძვირფასეულობას აძლევს დამშეულთა დასახმარებლად...

— ვიცით, ვიცით! — დაუდასტურეს მუშებმა.

მართლაც, ყველამ იცოდა, რომ ვოლგისპირეთში საშინელი შიმშილი იყო. დამშეულთა დასახმარებლად ოქროსა და ძვირფას ნივთებს აგროვებდნენ. ეს ოქრო მოჰქონდათ ზარაფხანაში, აქ ადნობდნენ და ზოდებად აქცევდნენ. ზოდებს კი საზღვარგარეთ გზავნიდნენ და



პურზე ცვლიდნენ. პურს დამშეულებს ურიგებდნენ.

1921 წელი იყო — დიდი შიმშილობის წელი.

ორატორი განაგრძობდა:

— მაგრამ თქვენ იცით, საიდან გაჩნდა ზარაფხანაში ეს ნივთი?

ორატორმა ასწია პატარა ნივთი. ზაფხულის მზეზე ოქრო აბრჭყვიალდა.

— ესაა ოქროს მედალი. ასეთ მედალს მხოლოდ იმ მონაფეს აძლევდნენ, ვინც წარმატებით ამთავრებდა გიმნაზიას. მედალი მისცეს ვლადიმერ ულიანოვს წარჩინებისათვის.

— ლენინისა ყოფილა!.. ილიჩისა ყოფილა!.. — გაისმა მუშებში.

— როგორც ჩანს, ლენინთანაც მისულან დახმარების სათხოვნელად, — განაგრძო ჭალარა კაცმა, — ლენინს სხვა ძვირფასი ნივთი არა ჰქონია და თავისი ოქროს მედალი შეუწირავეს... ჩუმად! ჩუმად! ამხანაგებო! — მაგრამ ეზო სკასავით გუგუნებდა. მწკრივებს ედებოდა აღელვებულთა ხმები.

— ლენინს ძვირფასი ნივთები არა ჰქონია!

— ლენინს თავისი ოქროს მედალი მიუცია!

— აი, ძვირფასი ნვლილი! აი, როგორია ილიჩი!

როდის-როდის ჩამოვარდა სიჩუმე და ჭალარა კაცმა განაგრძო:

— ჩვენ ყველამ ვიცით, რა მძიმე პირობებში ცხოვრობდა ილიჩი. ის იჯდა ციხეში, იყო გადასახლებაში, უჭირდა ემიგრაციაში... უჭირდა, მაგრამ მონაფეობის სამახსოვრო მედალი არ გაუშეცვლია, ინახავდა როგორც ძვირფას მონაგონებას... ახლა კი, ახლა გაიმეტა... ჩვენი დამშეული ძმებისა და დებისათვის, მამებისა და დედებისათვის გაიმეტა... შვილებისათვის გაიმეტა...

ჭალარა კაცს ხმა ჩაუნწყდა. დადუმდა ხალხიც. თითქოს ჩურჩულით ჰკითხა ხალხის გულს ჭალარამ... გულს ხომ ყოველთვის ჩურჩულით ეკითხებიან?!

— რა ვქნათ? გადავადნოთ ლენინის მედალი?..

— არა, არ გადავადნოთ! შევინახოთ, — დაიგუგუნა ხალხმა.

— მაშ, მივჩხრიკ-მოვჩხრიკოთ ჩვენი ოჯახები. — დაასკვნა ჭალარამ, — ეგებ გვაქვს რაიმე?.. ეს მედალი კი შევუნახოთ ჩვენს მომავალ თაობებს, ჩვენს ქვეყანას...

— შევუნახოთ! შევუნახოთ! — დაიგრილა ხალხმა.

მედალი აწონეს, ოცდაათ გრამს იწონიდა...

მუშების ოჯახებში კი ორმოცდაათი გრამი ოქროულობა მოაგროვეს...

ის მედალი ახლა ლენინის მუზეუმში ინახება, მოსკოვში.

გულთ საუბარი

გაიხსნა III ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. სცენა აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა დაიკავეს, დარბაზი — დელეგატებმა. დარბაზის ბოლოში ლენინმა თავისი დიდი ხნის უნახავი ამხანაგი შენიშნა, ჩამოვიდა სცენიდან, გაიარა პარტერი და ერთ მოხუცთან შეჩერდა.

ყველამ ლენინისკენ მიიბრუნა პირი: ვინ არის ეს მოხუცი?

— ლენინი მოვიდა, — უთხრეს მოხუცს.

ლენინი მოვიდაო? წამოვარდა მოხუცი. გაშალა ხელები. ბრმა ყოფილა და ხელის ცეცებით ეძებდა ლენინს...

ეს მოხუცი იყო მუშა ბოლშევიკი, გვარად შელგუნოვი. ის ერთი პირველთაგანი შევიდა „ბრძოლის კავშირში“, რომელიც 1895 წელს დააარსა ლენინმა. შელგუნოვი ავრცელებდა პროკლამაციებს, გაზეთ „ისკრას“, აწყობდა არალეგალურ კრებებს... იმდროინდელი ამხანაგებიდან ცოტანი შემორჩნენ ლენინს. ზოგი დახოცეს მეფის ჯალათებმა, ზოგიც კატორლაში გადაკარგეს. შელგუნოვმაც ბევრი დევნა და გასაჭირი გადაიტანა და ოქტომბრის რევოლუციამდე მიაღწია, ოღონდ ციხეში თვალის სინათლე დაჰკარგოდა.

გადაეხვივნენ ერთმანეთს და გადაჰკოცნეს.

ამბობენ, არაფერი უთქვამს არც

ერთს, ისე იდგნენო მკერდით მკერდს მიკრულნი... ალბათ გულთ საუბრობდნენ.

მართალი ვარაუზი

ერთხელ ლენინს მინსახკომის კოლეგიის წევრთა სია დასჭირდა. გამოიძახა კანცელარიის მორიგე თანამშრომელი და უთხრა:

— საჭიროა მინსახკომის მთელი კოლეგია. ჩქარა, გეთაყვა!

მორიგე თანამშრომელი გამოვიდა კანცელარიაში, მიუჯდა ტელეფონს, დაიდო წინ კოლეგიის წევრთა სია და დაიწყო გამოძახება. იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— ახლავე გამოცხადდით ამხანაგ ლენინთან! ახლავე!

გავიდა ხუთი წუთი... ათი, თხუთმეტი. გოგონა რეკავს და რეკავს. ლენინი კი იცდის. ბოლოს მან სამდივნოს უფროსი ლიდია ფოტიევა გამოიძახა.

— ეს როგორი წესრიგი გაქვთ სამდივნოში, ლიდია ალექსანდროვნა? მორიგეს დავაჟალე მინსახკომის კოლეგიის წევრთა სია მოეცა. აგერ თხუთმეტი წუთი გავიდა და არ მოუტანია.

ფოტიევა სწრაფად გამოვიდა ლენინის კაბინეტიდან და, რას ხედავს, მორიგე ისევ ტელეფონთან ზის და რეკავს:

— ახლავე გამოცხადდით ამხანაგ ლენინთან! ახლავე!

ფოტიევას სიცილი აუვარდა.

— ვლადიმერ ილიჩს სია უნდა და არა ადამიანები! რას შერები? — ფოტიევამ გამოსტაცა სია მორიგეს და ლენინთან გაიქცა.

მორიგეს ტირილი აუვარდა: ეს რა დამემართაო.

ფოტიევამ აუხსნა ლენინს, თუ როგორ შეცდა მორიგე. ლენინი წამით ჩაფიქრდა:

— მორიგე არაფერ შუაშია, ჩემი ბრალია.

— თქვენი ბრალი? — გაუკვირდა ფოტიევას.

— დიას, ჩემი! — უპასუხა ლენინმა, — მე არ მითქვამს ზუსტად, ახლა გამახსენდა. ვუთხარი, რომ საჭიროა მინსახკომის მთელი კოლეგია. ჰოდა, მორიგემაც კოლეგიის წევრები გამოიძახა...

მე რომ მეთქვა: საჭიროა მინსახკომის მთელი კოლეგიის სია-მეთქი, მაშინ მორიგეც არ შეცდებოდა, ასეც გადაეცით! გთხოვთ!..

მორიგემ ლენინის სიტყვები რომ გაიგო, ცრემლები შეიშრო, გაიღიმა და თქვა:

— რა მართალი კაცია ლენინი! თავისი შეცდომა აღიარა, სხვას არ მოახვია თავზე...





დილა

ანდრეი ალდან-საპიროვი

მოთხრობა

მხატვარი ზურაბ ლეშავა

ზამთრის ამ დილას ლენინი წერილებისა და საჩივრების კითხვას შეუდგა. ეს ბარათები მისთვის თითქოსდა იყვნენ ადამიანების ურთიერთობისა და დროის მსვლელობის განმსაზღვრელი მექანიზმები.

საჩივრები პირად გაჭირვებას ეხებოდა, ადამიანების მიმართ გულცივ დამოკიდებულებას. უამრავი თხოვნა, რჩევა და წინადადება იშლებოდა მის წინაშე.

ნოვოსელოელი ჯარისკაცის ცოლი ეფიმოვა ჩიოდა, რომ მისგან წაიღეს ხორბალი, ქმარი ტყვედა ყავს და მის აზარა არიან პატარა ბავშვები... სკოპინსკის მასრის გლეხები წერდნენ, რომ მათ განსაკუთრებული გადასახადი შეაწერეს, ისინი კი ლატაკები არიან.

ყოველ წერილზე ლენინი მოკლერეზოლუციას ადებდა: ჩერეპოვეცი, სამხარეო აღმასკომს: „შეამოწმეთ ეფროსია ანდრეის ასულ ეფიმოვას საჩივარი... შემოწმებისა და თქვენს მიერ მიღებული ზომების შედეგება მაცნობეთ“. სკოპინსკის მასრის გლეხებს: „ლატაკათვის განსაკუთრებული გადასახადის შეწერა უკანონობაა...“

აი დეპუტა ცარიცინიდან.

ლენინმა წაიკითხა იგი, მერე ისევ გადაიკითხა:

„ემშაკმა იცის, ეს რა ხდება! უბრალოდ, დაუჭერებელია! არქისულელებს უნდა იყვნენ, რომ ამისათვის დააპატიმრონ...“

წითელარმიელი მინინი იტყობინებოდა უმნიშვნელო დანაშაულისათვის მოქალაქე პერსიკოვას დაპატიმ-

რებას. წითელარმიელი პერსიკოვას დაცვას ითხოვდა... ითხოვდა დაბეჭითებით.

ლენინმა ცარიცინის სამხარეო ჩეკას თავმჯდომარეს მისწერა:

„დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთ ვალენტინა პერსიკოვა... სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი“. დეპუტა შეატრიალ-შემოატრიალა და წააწერა: „მომავლით, როდის მოვა სამხარეო ჩეკას თავმჯდომარის პასუხი“...

პერსიკოვას დაპატიმრება თავიბი უაზრობით გამოწყობისი შემთხვევა იყო. ლენინმა წერილებით სავსე დოხიე გასწია, მაგიდიდან წამოდგა, კაბინეტში გაიარა. მერე დაუბრუნდა მაგიდას, დაფიქრებულმა მასიურ პრესპაპიეზე გაათამაშა თითები. საშრობის ქვეშ სამკუთხედად გაკეცილი ქაღალდი შენიშნა. ლენინმა აიღო იგი.

„ძალიან კარგი მუშაკია და ჩვენ გვინტერესებს, რომ სწორედ იგი მივიღოთ. ნუთუ არ შეიძლება დეპრეტს გვერდი ავუაროთ“.

ლენინმა შუბლი შეიჭმუნა, შეეცადა გაეგო ბარათის აზრი.

„რომელ დეპრეტს უნდა ავუარო გვერდი? ვინ დამიღო ეს ბარათი? ჰო, ეს ხომ ფოტიევის ხელია?“ ზარის დილაკს დააჭირა თითი. შემოვიდა ფოტიევა.

— ლილია ალექსანდროვნა, ეს თქვენი ბარათია? რადაც ვერ გავუმე...

— სამდივნოს სკირდება მუშაკი, ჩვენ ერთ ქალს გავუწიეთ რეკომენდაცია ბონჩ-ბრუევიჩთან. მაგრამ იგი არ დაგვთანხმდა.

— რაიმე მიზეზი აქვს?

— ამბობს, ერთ სამსახურში ნათესავების ერთად მუშაობის დაუშვებლობის დეკრეტის დარღვევა არ შეიძლება. იმ ქალის და კი სახკომსაბჭოში მუშაობს...

— ახლა გასაგებია. და თქვენ მთხოვთ, გვერდი ავუაროთ დეპრეტს? დავარდლივით კანონი?

თავისი ბარათის გამო ფოტიევა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ლენინი კი გამომცდელ მწერას არ აშორებდა, თითქოს სურდა გაერკვია, შეცდა თუ სერიოზულად ფიქრობს, რომ კანონს შეიძლება ისე მოექცე. როგორც გნებავს?

— კანონის დარღვევა ყველა შემთხვევაში — დანაშაულია. გახსოვდეს ეს, ლილია ალექსანდროვნა, — და ჰკითხა: — სარაპულილი გლეხები ჯერ კიდევ არ მოსულან?

— ისინი უკვე მოსაცდელში არიან.

— ოთხმოცი ათასი ფუტი პური შეაგროვეს დამშეულთათვის! თხოვეთ, შემოვიდნენ!...

კაბინეტში გლეხები შემოვიდნენ, რომელთაც ჭუბარები და თექურები ეცვათ, შეცბუნებულნი იყვნენ ასეთი მოულოდნელი მიღებით. ლენინმა დასხა ისინი, მათთან ახლო მიიწია სკამი, დაუწყო გამოკითხვა მძიმე მგზავრობის შესახებ.

— სარაპულიდან მოსკოვამდე ათი დღე და ღამე მოვჩოჩავდით, მიუგო ფადეი ივანოვიჩმა — დღეუგაციის თავაკმა.

— მძიმეა, მძიმე... — ლენინი აცქერებოდა წვერგაბანჯგულულ სა-

ხეებს, — ჩვენ თითქმის თანამემამულენი ვართ — მე ხომ სიბირსკელი ვარ.

— სწორეა, სიბირსკიდან ჩვენამდე ერთი ხელის გაწვდენაა, — დეტანხმა ფადეი ივანოვიჩი.

— სარაპულში ჯერ არ ვყოფილვარ. თქვენთან, კამაზე, მონადირეთა სამოთხეა.

— იხეები უამრავი, ახლა გნოლქათამა, ახლა როჭო — უამრავზე უამრავი! ჩამობრძანდით, ყველაზე ნაკრძალ ადგილებში წაგიყვანთ, — ცოცხლად გამოგნებურა ფადეი ივანოვიჩი.

— აი, დამთავრდება ომი, თავისუფალ დროს გამოგნახავ და გეაზლებით.

ლენინი კვლავ შეეხო მთავარ სასაუბრო საგანს:

— თქვენ კეთილშობილური საქმე გააკეთეთ, — ლენინი ხელით შეეხო ფადეი ივანოვიჩის მხარს, თითქოს საუბარში მისი აყულა უნდოდა, — ხალხი შიმშილობს, რუსეთში კი არის პური! არის! — ენერგიულად გაიმეორა მან, — მე მაცნობენ: მარტო სარაპულასა და ყაზანს შორის რამდენიმე მილიონი ფუტი აწყვია. მაგრამ მისი მოტანა მოსკოვში, პეტროგრადში შეუძლებელია, არ არის ორთქლმავლები, არ არის ვაგონები, საწვავიც არ არის. დახმარებისათვის კი დიდი მადლობა მთავრობისაგან, — ლენინმა ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და დაწერა — „ამხანაგები ვიატკის გუბერნიის სარაპულის მახრიდან. მათ ჩვენთვის და პიტერისათვის ჩამოიტანეს ორმოც-ორმოცი

ათასი ფუთი პური. ეს ისეთი შესანიშნავი გამირობაა, რომელიც ხავსებში იმსახურებს სრულიად განსაკუთრებულ მისაღმებლს. ამხანაგები კი, სხვათა შორის, ითხოვენ გაცნონ პროფკავშირებს. დაუნდნეთ მათ, გეთაყვა, მოხსენება დეპუტატთა საბჭოში... ლენინმა წერილი ფადეი ივანოვიჩს გადასცა, — მიმართეთ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეს. ის შეგახვედრებთ მუშებთან. მოელაპარაკეთ მათ რა გჭირდებათ. ვალს გადახდა უხდება, მეგობრობამ კი არ იცის ფასი, — ამბობდა ლენინი, როცა იგი გლეხებს კარამდე მიაცილებდა.

ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ და სამოქალაქო ომი მძიმე ტვირთად დააწვა ლენინს. პურისათვის ბრძოლა მშვიდობისათვის ბრძოლის ტოლფასოვანია. მუდმივი, დაძაბული ბრძოლა..

კოლჩაკი კი მიიწვიდა. გვიერალ ხანუინის დასავლეთის არმია უფას უახლოვდებოდა. ჩრდილოეთისა კი—სარაპულას და იეჟესკის ემუქრებოდა. ატამანა დუტოვმა ხელთ იგდო ორენბურგისა და აქტიუბინსკის შემადგენელი გზა და თურქესტანი ხელახლა მოჰკვეთა რუსეთს.

ახლა კოლჩაკი იყო მთავარი სამხედრო საშიშროება. საჭირო იყო მთელი ფიზიკური და სულიერი ძალების თავმოყრა მისი ჭარბების განსაზღვრებლად. რამდენიმე დღის შემდეგ შედგება პარტიის მერვე კრილობა: საომარი მდგომარეობა და სამხედრო პოლიტიკა მისი მუშაობის მთავარი საკითხი იქნება.

ლენინმა დაიწყო ცენტრალური კომიტეტის თეზისების კონსპექტის მოხაზვა, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების შესახებ კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კაბინეტში საქალაქო ხელში შემოვიდა სვერდლოვი. მას ავადმყოფი კაცის იერი ჰქონდა: გამხდარ სახეზე ემჩნეოდა ყვითელი ლაქები, ტუჩებზე ნაცრისფერი დასდებოდა, მხოლოდ თვალები უგიზგიზებდა შავად. ლენინი ხედავდა, თანდათან როგორ ხმებოდა და დნებოდა მისი მეგობარი და თანამებრძოლი, ყოველი შეხვედრისას სვერდლოვის ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

— ჭანმრთელობას უნდა გაუფრთხილდე, იაკობ მიხაილოვიჩ. უნდა იმკურნალო....

— ასეთ დროს ლოგინში გდება? არა, სჯობია ავადმყოფობის ფეხზე გადატანა ასეთ დროს, — სვერდლოვმა ხაზი გაუსვა სიტყვა „ასეთს“, — მე ვიმუშაებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

იგი საწერ მაგიდასთან ჩამოკდა, პენსენ მოისხნა, ცხვირსახოცი გაწმინდა შუშებით.

— უნდა მივიდოთ სასწრაფო, განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომ შეეცვალოთ მდგომარეობა აღმოსავლეთის...—დაიწყო სვერდლოვმა, მაგრამ ხველებამ სიტყვა შეაწყვეტინა.

— დიან, საგანგაშო მდგომარეობაა. მხოლოდ სწრაფ და კარგად მომზადებულ შეტევას შეუძლია

მოგვიტანოს გამარჯვება. ამისათვის კი საჭიროა ბრძოლისუნარიანი არმიები და ნიჭიერი სარდლები, — თქვა ლენინმა, — სიტყვამ მოიტანა და, ფრონტის სარდლობა წინადადებას იძლევა შეეკმნათ ჭარბების დაჭრუება, რომ არა მარტო შევაჩეროთ კოლჩაკი ვოლგის მისაღმობთან, არამედ, მოქანცოთ რა ბრძოლებში, გადაწყვეტ შეტევაზე გადავიდეთ.

— ძალიან სერიოზული წინადადებაა. ვის დაუყუებთ ჭარბების ასეთი დაჭრუების სარდლად? — თქვა სვერდლოვმა, — ვის?

— მე გავიხსენე ყველა ჩვენი მხედართმთავარი. ფრუნზე, ტუხაჩევსკი? რამდენიმე არმიის სარდლობისათვის საჭიროა ღრმა სამხედრო მომზადება, საჭიროა კომუნისტი ორგანიზატორი, ჭკვიანი, ნიჭიერი, — ლენინი სავარძელში გადაწვა, შუბლი მოისრისა, თითქოს პასუხს ეძებდა თავისსავე კითხვავზე.

სვერდლოვმა ცოტა ხნის ჩაფიქრების შემდეგ თქვა:

— იქნებ ფრუნზე? სხვა კანდიდატს ვერ ვხედავ.

— ფრუნზე? — ჰკითხა ლენინმა, — მას გააჩნია ყველა შემოქმედული თვისება? რა გეწყობა! მის კანდიდატურას განვიხილავთ ჭერ სამხედრო-რევოლუციური საბჭოს სხდომაზე, შემდეგ — თავდაცვის საბჭოში.

* * *

მიხეილ ფრუნზემ განახლა მეოთხე არმიის მეთაურთა შემადგენლობა.

მისი დაუინებოთი მოთხოვნით ვალერიან კუბიშევი დანიშნეს არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად. ალექსანდრო-გაისკის ბრიგადის მეთაურად დაინიშნა ვასილ ჩაპაევი.

წითელარმიელებმა მაშინვე იგრძნეს არმიის ახალი სარდლის მტკიცე ნებისყოფა. არმია მის თვალწინ აღორძინდა. ჩაქრა მოდუნება, გულგატეხილობა, სულიერი შფოთვა იმედოვნით შეიცვალა.

არმია შეტევაზე გადავიდა. ფრუნზე ფეხდაფეხ მისდევდა თეთრკაჯაყებს და სტანიცას სტანიცაზე ბრძოლით ართმევდა. ატამანი დუტოვი და გენერალი ტოლსტოვი ურალს გადაღმა უდაბნო სტეპებში იხვედნენ.

ფრუნზემ სასწრაფოდ შეადგინა ორენბურგის დივიზია და ცხენოსანთა ბრიგადა. ეს ნაწილები, მისი ჩანაფიქრით, თურქესტანის რაზმებთან გაერთიანებულნი, თურქესტანისაკენ ახალ არმიას წარმოადგენდა.

ასე შეიქმნა სამხრეთის ჭარბების პატარა ჯგუფი. მას აუცილებლად მთელი ძალებით უნდა დაეცვა ურალისა და ორენბურგის ოლქების განთავისუფლებული ტერიტორია.

იმ დღეებშივე ჩააყვამა გაანთავისუფლა სტანიცა სლომიხინსკი და დაბა ლბიშენსკი — სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები. ბრძოლებში ჩააყვამ პირად მამაცობას და სულიერ სიმტკიცეს იჩენდა, მოულოდნელი და სწრაფი მოქმედების ხელშეწყობას ავლენდა, იმ დამოუკიდებელ

ინიციატივას ამჟღავნებდა, რაც აუცილებელია მეთაურისათვის უეცარი ბრძოლის საშიშროებისას.

მაგრამ ვერ განამტკიცეს მეოთხე არმიის პირველი წარმატებანი. კოლჩაკის ჭარბები შეტევაზე გადავიდნენ. წითლების სამხრეთის დაჭრუებას ალყის საშიშროება დაემუქრა.

ფრუნზემ ოცდამეხუთე დივიზია ორენბურგ-ბუზულუკ-სამარის ხაზზე გადაისროლა. დივიზია თურქესტანისა და მეოთხე არმიების ზურგს იცავდა, გენერალ სანჟინის არმიის წინააღმდეგ მოქმედი ჭარბების გადაჭრუების ცენტრს წარმოადგენდა. დივიზიის მეთაურად ჩააყვამ დაწინაურეს.

მტრის წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი გახდა და ფრუნზეს ისევ გაუფრთხა ძილი.

რუკაზე კი ყოველდღიურად იცვლებოდა პაწაწინა დროები, ფერადი ხაზები უფიდან ბუგურუსლანისკენ, მენშელინსკზე, კამისაკენ მიიწვიდა.

ფრუნზე ურადლებით ადევნებდა რა თვალს ყველაფერს, ფრონტზე მცირე ცვლილებებსაც კი, სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრს ნოვიციკის შემოთბობთა და უცნაური სიხარულით მიმართა:

— მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთა, სადაც მოქმედებს კაპელის კორპუსი, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხანუინის არმიას. მარცხენა ფრთასა და ცენტრს შორის წარმოიქმნა დიდი ხარვეზი, ჭარბები უზარმაზარ სივრცეზე გაიშალა.

— მერედა, რა გამომდინარეობს აქედან? — გაოცებით იკითხა ნოვიციკი.

— არა: ჩვენ თუ მარცხენა ფრთაზე დავარტყამთ ხანუინს, ამით მის დამჯერებელ ჯგუფს გავანადგურებთ და ინიციატივას წავართმევთ, მოულოდნელი კონტრშეტევა ხანუინს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს...

ნოვიციკი დიდხანს არ უპასუხა, ფიქრში ჩაიძირა.

— ორიგინალური და გაბეღული გეგმაა, — ბოლოს დაეთანხმა იგი, — მაგრამ ასეთი დარტყმისათვის საჭიროა საიმედო ძალა...

— ეს ჭერ კიდევ არ არის გეგმა, ვარაუდია: ჩემის აზრით, შესაძლებელია კონტრშეტევა დავიწყოთ იმ ძალებით, რომლებიც ჩვენ გავაჩინა. ჩვენსკენ ლენინის ბრძანებით განუწყვეტილად მოდის ახალ-ახალი ძალები. და ამას გარდა, ამას გარდა, — გაიმეორა ფრუნზემ, — უნდა გავითვალისწინოთ წითელარმიელთა რევოლუციური ერთუზიანობა. თუ თერებს უნდათ მხოლოდ გამარჯვება, ჩვენ, გამარჯვების გარდა, აუცილებლად გვინდა მომავალი... მე შემიძლია მოგაგონოთ ლენინის სიტყვები....

ამ საუბრის უმაღლეს ფრუნზე პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა სარდლობას. გამოთქვა თავისი აზრი ფლანგზე დარტყმისა და შემდგომი შეტევის შესაძლებლობაზე.

დაამიედეს, ძირფესვიანად გავიზრებოთ ამ წინადადებასო. მალე პირდაპირ ხაზზე გამოიძახეს ფრუნზე.

— ჩვენ მოვახსენეთ თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს თქვენი გეგმა, ლენინმა მხარი დაუჭირა თქვენს იდეას.

ტბის დამყარებელი მართალი წყალი, გაუფალი გზები, შარშანდელი წაბლისფერი ვაციწვერა, აპრილის მტრედისფერი ცა მზის ნათელში გათანაგულიყო. სამარის სტეპი ახლა თვალგაუწვდენელ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. ყველგან ქვივითი დადიონდნენ, მხედრები ცხენებს დააქენებდნენ. რკინიგზის ხაზებზე იდგნენ მივიწყებული ორთქმავლები, ვაგონები, ბაქენებზე სავლელ სამზარეულოებთან ტყვიამფრქვევების ლულები აშვრილიყო. ისმოდა იარაღის უღარუნი, ხმამაღალი ლაპარაკი, მძიმე სუნი კამკამა პაერს უეროდებოდა, და ეს ყველაფერი მოძრაობდა ბუგურუსლანად წოდებულ ერთ პატარა გეოგრაფიულ წერტილში.

რუსი კაცისთვის უჩვეულო სიტყვამ „ბუგურუსლანა“ კონკრეტული, თვალსაჩინო, ახალი ისტორიული მნიშვნელობა მიიღო, იგი გადაიქცა ორი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი არმიის ზღუდედ.

არმიის სარდლის მატარებელი სადგურ კინელში იდგა. სალონ-ვაგონში ნოვიციკი წერდა ბრძანებას შეტევის შესახებ, რომელიც ოცდარვა აპრილისათვის იყო დანიშნული. ფეხზე მდგომი ფრუნზე ნოვიციკის ზურგს დაჰყურებდა და კითხულობდა უბრალო, მაგრამ მრისხანე სიტყვებს.

— სულ ეს არის! — თქვა ნოვიციკი, — ხელი მოაწერეთ, მიხეილ ვასილუვიჩ.

— ახლა სიტყვა წითელარმიულ ხიზტყეა, — დაუმატა ფრუნზემ, ხელმოწერით დაამტკიცა რა საბუთი, რომელიც მოწოდებდა და ამავე დროს სამხედრო კანონად გადაიქცა. ფრუნზემ შეხედა თავის კოლეგებს, მწერა კუბიშევეზე შეაჩერა... დილის ჭიკრილზე იკრძნობოდა.

შეტევა უკვე დაიწყო. ფრუნზე და კუბიშევი ვაგონიდან გამოვიდნენ და კოვილის სტეპისკენ გასწიეს.

მიაყურადა რა ქვემეხების შორეულ გუგუნს, ფრუნზემ თქვა:

— ამხანაგმა ლენინმა შეგატყობინა, ჩვენ ფრონტს ყოველდღე გაეზრდება დახმარება.


— ეს ძალიან, ძალიან კარგია! — გაეღიმა კუბიშევის.

— შეხედე, ვალერიან, იმ ღრუბლებს! — აღტაცებით დაიძახა ფრუნზემ, — ისინი ზუსტად ჩემი მშობლიური პიშპეკის მთებსა ჰგვანან...

კუბიშევიც ცას მოავლო მწერა. — დილა კი ცუდად არ დაიწყო, — თქვა მან.

მზე სულ მაღლა, მაღლა მიიწვიდა. ფარტინა ღრუბლები ისე იძვროდნენ, როგორც სამარული გასული ჭარისკაცები — სულ წინ, სულ წინ მიისწრაფოდნენ. ღრუბლებს იქით ცა უფრო სუფთა და ღრმა მოჩანდა.

თარგმან თანგი გოგოლაძემ.



ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი დიდი პიროვნება უშრეტო წყაროა სიტყვის, ფუნქციისა და საქრთლის ოსტატთა შემოქმედებითი შთაგონებისა. ლენინის ცხოვრების თემაზე მუშაობა მათ ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო.

ვ. ი. ლენინის ცხოვრების თემამ წამყვანი ადგილი დაიჭირა და თვალსაჩინო გამოხატულება პოვა სახვითი ხელოვნების ყველა შარში.

საქართველოში ლენინის მონუმენტის შესაქმნელად 1928 წელს გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვეს იაკობ ნიკოლაძემ და თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტმა, ამჟამად აკადემიის პროფესორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი სესიაშვილმა.

— დიდი იყო ენთუზიაზმი გამოცხადებული კონკურსის გამო. დღესაც მღელვარებით ვიხსენებ იმ საზეიმო განწყობილებას, რაც თბილისში, კერძოდ, აკადემიაში სუფევდა, — გვიამბო 87 წლის პროფესორმა გიორგი სესიაშვილმა, — კონკურსში გამარჯვებამ ფრთები შემასხა. შევქმენი დიდი ბელადის რამდენიმე პორტრეტი, მრავალი ბარელიეფი.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების პირველივე დღეებში გრაფიკული პორტრეტი შექმნა ცნობილმა თეატრალურმა მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა.

ვესაუბრებით საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს გიორგი მასხარაშვილს:

— ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე მთელი სიცოცხლის მანძილზე ისწრაფვოდა, რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოესახა ვ. ი. ლენინის სახე. ი. ნიკოლაძე ავტორია ლენინის თხუთმეტი პორტრეტისა. ოცდაათი წლის მანძილზე იგი ყოველ ახალ ნაწარმოებში ახალ მხატვრულ ხერხებს ეძიებდა, სხვადასხვა მასალას იყენებდა. ლენინის პორტრეტის შექმნის იდეა მოქანდაკეს ჯერ კიდევ თავის სიჭაბუკეში, ვლადიმერ ილიას ძესთან პირადი შეხვედრისას, დაებადა. მოქანდაკის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი იყო ვ. ი. ლენინის მარმარილოს ბიუსტი (1926 წელი). ქანდაკებისათვის „ვ. ი. ლენინი—ისკრის“ შემქმნელი“ (1947 წელი) იაკობ ნიკოლაძეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა (ქართველმა ხალხმა ეს ქანდაკება მოსკოველ მშრომელებს დედაქალაქის 800 წლის-თავის ზეიმის დღეებში საჩუქრად გადასცა).

ქართველი მოქანდაკეები პასუხისმგებლობითა და შთაგონებით შეუდგნენ ბელადის მონუმენტუ-

რი ძეგლების შექმნას. ეს ხელოვანთა წინაშე მეთად რთულ პრობლემებს სახავდა. საჭირო იყო მონუმენტური ქანდაკების სპეციფიკურ თავისებურებათა ღრმად გააზრება, გარემო სივრცესთან, არქიტექტურულ ანსამბლებთან, ლანდშაფტებთან მისი შერწყმა, ძეგლის სივრცობრივი აღქმის გადაწყვეტა. ამას ნათლად მეტყველებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში აღმართული ძეგლები, რომელთა ავტორები ქართველ მოქანდაკეთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან. თითოეული მოქანდაკე ინდივიდუალურად უდგება ლენინის მხატვრული სახის გახსნას, მისი შინაგანი ბუნების სიღრმის გადმოცემას. ადრე ბელადს წარმოსახვდნენ როგორც მგზნებარე ორატორს, ტრიბუნს, მისთვის დამახასიათებელი ხელისა და სხეულის მოძრაობით, ბოლო პერიოდის ნამუშევრებში კი მოქანდაკეები ცდილობენ ბელადის ხასიათის გადმოცემისას ახალ ხერხებს მიაგნონ.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სახალხო მხატვრის შოთა მიქაძაძის დეკორატიული ბელადის დიდებული მონუმენტები, რომლებიც ამშვენებენ მახარაძეს, თელავს, ხაშურს, ნიკოლავეს, ვიბორგსა და გომელს. შ. მიქაძაძემ ლენინი ეპიკურ ასპექტში წარმოგვიდგინა და ფრიალ დამახასიათებელი კლასიკური გააზრება მისცა.

ილიჩის სახის შექმნაში განსაკუთრებული დეკორატიული მიუძღვის რესპუბლიკის სახალხო მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვალენტინ თოფურაძეს.

ლენინის მოედანზე, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში, დგას ბელადის მონუმენტი, რომელიც ვ. თოფურაძეს ეკუთვნის. ავტორმა გადმოგვცა ბელადის მხატვრული სახის განვითარებული ხასიათი. მასში ასახულია თემა: ლენინი — ტრიბუნი. მოქანდაკის შემოქმედებითი მიღწევა აგრეთვე ილიჩის სკულპტურული ფიგურა, რომელიც რუსთავეში, კალინინგრადსა და მოსკოვში დაიდგა.

— ვ. ი. ლენინის სახის მხატვრულ ასახვაში, — განაგრძობს გ. მასხარაშვილი, — თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს სახალხო მხატვარმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა კონსტანტინე მერაბიშვილმა; მის მიერ შექმნილი მონუმენტები აღმართულია ქუთაისში, თეთრ წყაროსა და ცხინვალში. ყოველ მათგანს ახასიათებს სულიერი სიღრმე და სახის ღრმა ფსიქოლოგიური წვედომა. მცოვანი ოსტატის სახელოსნოში ახალი ესკიზია, იგი ოღანე შევცილით ახალი ცხინვალის მონუმენტისა, რომელიც ბეტონშია ჩამოსხმული; ახლო მომავალში ამ ესკიზის მიხედვით იგი ბრინჯაოში ჩამოსხმება.

საქართველოს სახალხო მოქანდაკემ სილოვან კაკაბაძემ ლენინის რამდენიმე ფიგურა შექმნა. მან ვ. ი. ლენინი წარმოგვიდგინა, როგორც რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე, ფილოსოფოსი, ხალხთა მანების ორგანიზატორი. შთაბეჭდავია მისი კომპოზიცია — „სერგო ორგანიზაციის ლენინთან რაზლივში“. ამ კომპოზიციის ნახვა შეიძლება ორჯონიძის მშობლიურ სოფელ ღორეშაში, ორი მონუმენტი კი ხარკოვის ოლქის ქალაქებს ამშვენებს. მოქანდაკის ქმნილებებს ნახავთ აგრეთვე ურალსსა და სვერდლოვსკში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ქართულ სახვით ხელოვნებაში ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა მოვიდა. ბელადის თემამ ბევრი ახალგაზრდა ოსტატი გაიტაცა.

სოხუმის ერთ-ერთ მოედანზე ვ. ი. ლენინის

ძეგლია აღმართული. მისი ავტორები არიან საქართველოს დამსახურებული მხატვრები ანთიმოზ გორგაძე და თეიმურაზ ასათიანი. თ. ასათიანსვე ეკუთვნის ვ. ი. ლენინის მონუმენტი თბილისის კომკავშირულ ქალაქში. ბელადის საინტერესო სახეები შექმნეს აგრეთვე გიორგი თოიძემ, ნიკოლოზ ქუთათელაძემ, ნოდარ დოლიძემ (კომპოზიცია „ვ. ი. ლენინი და ს. ორჯონიკიძე“), საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა დუტუ ჩხეიძემ (ბელადის ეს ფიგურა პოლონეთში დგას). შთაბეჭდავია ბეჟარ ყაზაიშვილის მონუმენტი, რომელიც ვალის რაიონულ ცენტრს ამშვენებს, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ოთარ მელიქიშვილის მონუმენტი, ქალაქ ცხაკაიაში რომ დაიდგა.

— ქართულ მონუმენტურ ქანდაკებაში ახალი სიტყვაა საქართველოს დამსახურებული მხატვრის მერაბ მერაბიშვილის მონუმენტი „ლენინი ქარში“. იგი ლენინგრადის მონუმენტური სკულპტურის ქარხანაში ბრინჯაოში ჩამოსხმება და ქალაქ ფოთში დაიდგება. მოქანდაკე ჯემალ რუხაძე მუშაობს ბელადის მონუმენტზე, რომელიც ზესტაფონში აღიმართება, — გვითხრა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ნოდარ ჯანბერიძემ.

ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ ნამუშევრებში ქართველმა მოქანდაკეებმა გამოავლინეს არა მარტო მაღალი მხატვრული ოსტატობა და უსაზღვრო სიყვარული ბელადისადმი, არამედ ეპოქის უმნიშვნელოფანსი ეტაპების შეგრძნებაც, გვიჩვენებს, რა დიდი შესაძლებლობანი აქვს და რა მაღალ დონეზე დგას ქართული პლასტიკური ხელოვნება.

ლენინის თემამ ფრიალ საინტერესო ასახვა პოვა ქართულ ფერწერაში. ქართული ფერწერული ლენინიანა ქეშმარიტად მშვენიერი ქმნილებებით გაამდიდრეს უ. ჯაფარიძემ, ი. ვეფხვაძემ, კ. ხანაძემ.


ქართული ლენინიანისათვის დიდებული ფერწერული ნაწარმოებები შექმნა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა უჩა ჯაფარიძემ, მისი კომპოზიცია „ვ. ი. ლენინი 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე“ ქართული საბჭოთა ხელოვნების მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ვესაუბრებით უჩა ჯაფარიძეს.

— მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა დიდ ბელადს საქართველოს სახალხო მხატვარმა ივანე ვეფხვაძემ. მან ლენინის პორტრეტი პირველად 1938 წელს დახატა. მასვე ეკუთვნის სურათი „ვ. ი. ლენინი სამუშაო კაბინეტში“, კომპოზიცია „ვ. ი. ლენინი ოქტომბერში“, რომელშიც მხატვარმა გადმოგვცა ბელადის მჭიდრო ურთიერთობა ხალხის მასებთან. მამის გზას განაგრძობს მისი შვილი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსი ვეფხვაძე. მან რვა დიდი მონუმენტური ტილო შექმნა.

„განთიადი“ — ასე ეწოდება საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის კორნელი სანაძის კომპოზიციას. მასზე აღბეჭდილია ბელადი რაზლივში. დილის ნისლი და ჯანდი ჯერ კიდევ შერჩენია ამ კუთხის ლამაზ ბუნებას. მოწმენდილი ცა სიმბოლურად გვაუწყებს რევოლუციის გარეთაუხს, ბელადი ბუნების მშვენიერებით ტკბება. ეს ტილო ქართული ხალხის სახელით მხატვარმა მოძემ სომეხ ხალხს უსახოვრა.

ბავშვის გულს სიკეთის შუქით აწვდიან... დედა არასოდეს გამქრალა. ეს შუქი ასხივონებს გვირის ყოველ მოქმედებას. აი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ბაჩანა თვითონ ასამართლებს დეურტირსა და მკვლელს მანუჩარ კიკვაძეს. აი იგი, ერთადერთი, იმალღებს ხმას მშვენიერი თამარის დასაცავად, რომელზეც უამრავ ჭირს თხზავენ. აი იგი აღსდგა მეგობრის დასაცავად, იმ მეგობრისა, რომელიც თავისი დანაშაულის გამო ჩავარდა უბედურებაში... კიდევ ბევრი ამგვარი მომენტის გახსენება შეგვიძლია, მაგრამ ესეც კმარა. ისედაც ნათელია, რომ ბაჩანა ცხოვრობს მაღალი ზნეობრივი კრიტიკით, იგი არასოდეს რჩება გულგრილი იმის მი-



ცხოვრების კანონი

ვლადიმერ ალფინიძე

ნოდარ დუმბაძე ალბათ კმაყოფილია თავისი მწერლობით. მისი რომანები და მოთხრობები დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ხდება მათი ინსცენირება, ეკრანიზაცია, ითარგმნება, როგორც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ენაზე, ისე საზღვარგარეთ. მას მინიჭებული აქვს ლენინური კომპაზიციის და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები. ბავშვთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით მისი გვარი შეტანილია ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელობის საპატიო სიაში. უფროსად „დრუშბა ნაროდოვში“ გამოქვეყნებული წლის საუკეთესო ნაწარმოებისათვის ნურტიკის ჰესის მშენებლებმა ნოდარ დუმბაძის რომანს — „მარადისობის კანონს“ მიანიჭეს მუშათა პრემია.

სწორედ ეს რომანი, რომელიც უხვად გვხვდება ნოდარ დუმბაძისათვის დამახასიათებელი იუმორი და ლირიზმი, პოეტურობა და ფილოსოფიური კვებულებები, ხელშესახებად დახატული ცხოვრებისეული პერსონაჟები, ნათლად ადასტურებს, რომ ის სიყვარული, რომელიც მან მკითხველთა შორის მოიპოვა, არ არის არც გარემოებათა დამთხვევა და არც მარტოლენ ბუნებრივი ნიჭის ხარკი. იგი, უპირველეს ყოვლისა, შედეგია მწერლის იდეურ-მხატვრული სიმწიფისა, ოსტატობისა და უტყუარი სოციალური აღდგომა.

ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნება მხოლოდ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შედეგად შექმნილ პირობებში შეიძლება.

„მარადისობის კანონს“ გარკვეული აზრით შეიძლება შევხედოთ როგორც დღევანდელი საქართველოს სოციალურ-ზნეობრივი პროცესების მხატვრულ მატიანეს.

ამჟამად საქართველოში, და მის ფარგლებს გარეთაც, ბევრს დაბარაკობენ მწერალ ბაჩანა რამიშვილზე. ამ გვარს ვერ იპოვით მწერალთა კავშირის ცნობარში, რადგან ბაჩანა რამიშვილი რომანის გმირია, მაგრამ მწერალმა იმდენად ცოცხალი და დამაქერბელი ხასიათი შექმნა, რომ ბევრმა მკითხველმა იგი რეალურად არსებულ ადამიანად აღიქვა.

რით მიიპყრო მკითხველთა ყურადღება მწერალმა ბაჩანა რამიშვილმა?

ომის წლებში სოფლად გატარებული ბავშვობა, უზრუნველი, მაგრამ ნაბეგრად მშვიდი სტუდენტობა, გაზეთის რედაქციაში მუშაობა, ძალზე ჩვეულებრივი უპრეტენზიო ადამიანური ბედი... და იმავე დროს მის ცხოვრებაში ბევრი დარდიც, ტკივილიც, იმედოც, სიყვარულიც, ტანჯვაც და რაც ყველაზე მთავარია, — სიკვთე. პატროსანმა მოხუცმა გულხმა გლაზუნა ქერქაძემ იშვილა პატარა ბაჩანა. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ავსებდა

მართ, რაც მის გარშემო ხდება. ის დგას იმ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სამკვდრო-სასიცოცხლო საწყისის შეჭახების ცენტრში, რომლებიც განსახიერებულია სხვადასხვა პერსონაჟის ხასიათში. იგი მოქცევა სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის ცენტრში და როგორც დამარცხება, ისე გამარჯვება მის გულზე თავისებურ დანაშარვეს ტოვებს.

შემთხვევითი როდია, რომ ბაჩანა რამიშვილს მკითხველი პირველად საავადმყოფოში ხვდება, სარეანიმაციო განყოფილებაში, სადაც იგი მწვავე ინფარქტმა მიიყვანა. მისი გული ყოველგვარ უსამართლობასა და სიყალბეს ენაშურება აღფრთოვებით და ყოველგვარ სიხარულსა და დღესასწაულს — თანაგრძობით. ამ მძაფრ განცდებს ვერ გაუძლო გულმა. ადამიანებისადმი მისი სიკეთე, მისი სიყვარული არის აქტიური, მაგრამ უკომპრომისო და მკაცრი მაშინ, როდესაც შეეჯახება უღირს საქციელს. ამიტომ ხდება, რომ „მარადისობის კანონში“ ჩვენთვის ცნობილი დუმბაძისეული თბილი იუმორის გარდა არის მკაცრი სატირაიც, რომელიც არ ინდობს მწერლისათვის საქმეველ ცხოვრებისეულ მოვლენებს. მწერალი მასში აქსოვს მთელ თავის აღფრთოებას, ადამიანურ და მხატვრულ გატაცებებს. სიკეთესა და ბოროტებას შორის წინააღმდეგობა რომანში გამოხატულია იმ ადამიანთა ბრძოლის სახით, რომლებიც კონკრეტულად ატარებენ ისეთ ნეგატიურ მოვლენათა ნიშნებს, როგორიცაა მექრთამეობა, პროტექციონიზმი, გამოძაღველობა, საქმოსნობა...

რაში მდგომარეობს „მარადისობის კანონის“ არსი, რომელსაც აღმოაჩენს ბაჩანა რამიშვილი?

„ამ კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული. თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ...“

ასეთია ეს კანონი, ზოგადადამიანური კანონი — რომანის გმირის ცხოვრებისეული, სულიერი გამოცდილების ზნეობრივი დასკვნა, რომელიც საკუთარი სისხლის ფასად მოიპოვა მან. ის, რაც რომანის გმირმა აღმოაჩინა, მახლობელია თვითონ ნ. დუმბაძისათვის, რომელიც რეალური, აქტიური პუმანიზმით აღმოჩენილ მარადისობის კანონში ცხოვრების ქეშმარიტ სოციალურ საწყისებზე გარდაქმნის საწინდარს ხედავს.

რომანი „მარადისობის კანონი“ გამოირჩევა მაღალი მხატვრული ოსტატობით. მკითხველი მასში ხედავს სრულიად სხვადასხვა საწყისებს — ფილოსოფიურს, ზნეობრივ-ესთეტიკურს, მითოლოგიურს,

ცნობილ მხატვარს ირაკლი თოიძეს ეკუთვნის შთამბეჭდავი კომპოზიცია „ილირის ნათურა“.

ჩვენი რესპუბლიკის უფროსი თაობის მხატვრებიდან ლენინიანაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესანიშნავმა ოსტატმა პეტრე ბლიოტიანმა. მისი კომპოზიციები „ვ. ი. ლენინი სამუშაო ოთახში“, „ვ. ი. ლენინი წიგნით ხელში“ და სხვა ტილოები საინტერესოა, როგორც კომპოზიციური გადაწყვეტისა და ფერწერული შესრულების მხრივ, ისე შექმნილი სახის ფსიქოლოგიის გადმოცემის თვალსაზრისითაც.

ქართველი საბჭოთა მხატვრების მომდევნო თაობამ ბევრი დრო და შემოქმედებითი ძალა მოახმარა ფერწერაში ლენინის სახის ასახვის ახალ საშუალებათა ძიებას. მათ შექმნეს მთელი რიგი ისტორიულ-რევოლუციური უანრის კომპოზიციები. გააზრებით და სახეებით ორიგინალური და ახალია საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის რობერტ სტურუას კომპოზიცია „ლენინიანა“. იგი ეძღვნება საბჭოთა ხალხის ბრძოლას ლენინის იდეების გამარჯვებისათვის.

მეტად საყურადღებოა საქართველოს დამსახურებული მხატვრის გურამ გელოვანის სურათები: „ვ. ი. ლენინი და ნ. კრუშჩევი რაზლივში“, „ლენინი რევოლუციის წინა დღეებში“. პირველი სურათი შეიქმნა ამ ოციოდე წლის წინათ და დიდი მოწონება ხვდა წილად მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. უნდა აღინიშნოს, რომ გ. გელოვანმა შესანიშნავად გამოიყენა საარქივო მასალები დიდი ბელადის შესახებ.

ქართული ლენინიანას ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია საქართველოს დამსახურებული მხატვრის ზურაბ ლეჟავას ფერწერული ტილო „მოძაღვისაკენ“. ავტორმა პირველად შექმნა დიდი ფერწერული ტილო, შემდეგ იგი გააძლია, კომპოზიციაში მრავალი რამ შეცვალა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის კედელზე დახატა. ეს პირველი ცდაა ჩვენში კედლის მონუმენტური ფერწერის შექმნისა დიდი ბელადის თემაზე. ავტორმა კარგად გაართვა თავი რთულ ამოცანას. კომპოზიციის ცენტრია ბელადი, რომლის გარშემო მჭიდროდა და რაზმული მასები; თითქოს რკინის მუშტად შეკრული, ისინი მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ დიდი მოძაღვისაკენ.

უჩა ჭაფარიძე სიყვარულით დაბარაკობს თავისი კოლეგების ნაშუაგებებზე.

თვალსაჩინოა ქართველ გრაფიკოსთა ნაწარმოებები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დავით ქუთათელაძის ოფორტები და ლითოგრაფიები. ეს არის ახალი სიტყვა ქართულ გრაფიკაში. საინტერესო ცდები აქვს ქართულ გრაფიკულ ლენინიანაში კორნელი სანაძეს და საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ნიკოლოზ ჩერნიშკოვს, აღსანიშნავია საქართველოს დამსახურებული მხატვრების დინარა ნოდისა და თენგიზ სამსონაძის გრაფიკული სერია, საქართველოს დამსახურებული მხატვრის დავით ქუთათელაძის ესტამპი „სერგო ორჯონიკიძე ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან რაზლივში“ და ვ. ი. ლენინის პორტრეტი მნიშვნელოვანი წვლილია დაზგურ გრაფიკაში. რევოლუციის ბელადს მიუძღვნა ლინოგრაფიურები ნიკოლოზ ჩერნიშკოვმა.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა თაობის მხატვრები დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაღალმხატვრული ასახვისათვის.

ავალი დალიანი,
საქართველოს სსრ დამსახურებული
შურნალიტი.

ვ. ი. ლენინი

კინემატოგრაფის ეს კლასიკური შეფასება ლოგიკური შედეგია იმ სისტემატური და ცხოველი ინტერესისა, რასაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იმთავითვე იჩენდა კინოს მიმართ. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ოქტომბრის რევოლუციამდე, 1907 წელს, ვ. ი. ლენინმა მიუთითა, რომ კინემატოგრაფი ხალხთა ფართო მასების აღზრდისა და განვითარების ერთ-ერთ უმძლავრეს საშუალებად იქცევა, როგორც კი მას ხელში აიღებენ სოციალისტური კულტურის ნამდვილი მოღვაწეები. ეს კი იყო გაგრძელება ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის პრინციპისა, რაც იმ დროისათვის, ლენინს თეორიულად უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავის შესანიშნავ სტატიებში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

ლენინი და კინო

გიორგი დოლიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

1919 წლის 27 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა, როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა, ხელი მოაწერა ისტორიულ დეკრეტს კინოს ნაციონალიზაციის თაობაზე.

1922 წლის 17 იანვარს ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა გამოსცა თავისი ცნობილი დირექტივები კინოს საკითხებზე.

ამ დირექტივების შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით 1922 წლის თებერვალში ვლადიმერ ილიას ძე საგანგებოდ ესაუბრა ანატოლი ლუნაჩარსკის, განათლების სახალხო კომისარს. სწორედ ამ საუბრის დროს დაიბადა შემოხსენებული ლენინისეული შეფასება კინემატოგრაფისა, კერძოდ, რომ „ყველა ხელოვნებიდან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია კინო“.

საბჭოური კინოს სათავეებთან მთელი თავისი იდეურ-მთავარგონებელი და პრაქტიკულ-ორგანიზაციული როლით დგას სწორედ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა კინოს მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს არსებობის პირველსავე წლებში და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ ძლიერდამსილ აღმავლობას.

კინოლენინიანა, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, იმ უნიკალური დოკუმენტური კადრებით იწყება, რომლებზედაც სამუდამოდ აღიბეჭდა ვ. ი. ლენინის სახე. დღეისათვის უკვე დადგენილია, რომ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელმა კინემატოგრაფისტებმა ლენინი სულ 38-ჯერ გადაიღეს, აქედან ჯერჯერობით მიკვლეუ-

ლია და გამოვლენილია მხოლოდ 20 გადაღების მასალები. ასე რომ, შეგვიძლია ზუსტად აღვრიცხოთ დოკუმენტური კინოლენინიანას ეს ოქროს ფონდი, კერძოდ, უნდა ითქვას, რომ შემორჩენილია სულ 258 ხელი, ანუ 838,5 მეტრი ფირი ლენინური კინოდოკუმენტებისა, რომლიდანაც 145 ხელზე თვით ვ. ი. ლენინმა აღბეჭდილი, 113 ხელი კი იმ მოვლენებს ასახავს, რომლებშიც ბელადი მონაწილეობდა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ვლადიმერ ილიას ძის პირველი კინოდოკუმენტი 1918 წლის პირველი მაისით თარიღდება — ეს არის ოპერატორ პ. ნოვიცკის მიერ გადაღებული კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინს სამხედრო პარადის დროს, უკანასკნელი კინოდოკუმენტი კი გადაღებულია კომინტერნის IV კონგრესის მუშაობის დღეებში, 1922 წლის 13 ნოემბერს. ამ კადრების ავტორია ნ. კოზლოვსკი.

ძირითადად სწორედ ამ უნიკალური კინოკადრების გამოყენებით საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს მრავალი საინტერესო ფილმი ვ. ი. ლენინზე, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. ფილმის ავტორებს 1949 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

რაც შეეხება მხატვრულ კინოლენინიანას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კინემატოგრაფისტები შეეცადნენ ამ მხრივ პირველი ნაბიჯების გადადგმას. პირველი სიტყვა აქ ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორს, უკვდავი ფილმის „ჯავნოსანი „პოტიომკინის“ ავტორს სერგეი ეიზენშტეინს, რომელიც ფილმ „ოქტომბერში“ (1927 წელი) შეეცადა მხატვრული ხერხებით აესახა ეკრანზე დიდი ლენინის სახე.

პირველ ნამდვილ შემოქმედებით წარმატებას საბჭოთა კინომ მხატვრული კინოლენინიანას დარგში მხოლოდ ხმოვანი კინოს დაუწყევლების პერიოდში მიაღწია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოცე წლისთავზე, 1937 წელს გამოვიდა მიხეილ რომის ფილმი „ლენინი ოქტომბერში“. სურათში ვლადიმერ ილიას ძის შესანიშნავი სახე შექმნა ცნობილი საბჭოთა მსახიობმა ბორის შჩუკინმა. ერთი წლის შემდეგ კი საბჭოურმა კინომ მეორე გამარჯვება იხეიმა — 1938 წლის პირველ ნოემბერს გამოვიდა სერგეი იუტკევიჩის ფილმი „თოფიანი კაცი“, რომელშიც უკვე მ. შტრაუხის ნიჭი გამობრწყინდა, როგორც ვ. ი. ლენინის კინემატოგრაფიული სახის უბადლო შემსრულებლისა. უნდა ითქვას, რომ შემოხსენებულმა კინემატოგრაფისტებმა შემდგომ კიდევ უფრო გააღრმავეს თავიანთი მოღვაწეობა კინოლენინიანას დარგში. ამის სანიშნო ფილმებია: მ. რომის „ლენინი 1918 წელს“ (1939 წელი), ს. იუტკევიჩის „მოთხრობები ლენინზე“ (1957 წელი) და „ლენინი პოლონეთში“ (1965 წელი, პოლონეთის შემოქმედებითი გაერთიანება „სტუდიოსთან“ ერთად) და სხვ.

საყურადღებო კინონაწარმოებები უძღვნეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ვ. ი. ლენინს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ჯერ კიდევ 1924 წელს შექმნილი დოკუმენტური ფილმი „ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეები თბილისში“. ბოლო პერიოდის ფილმებიდან აღსანიშნავია: „ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი“ (1950 წელი, რეჟისორი ა. მამულაშვილი), „ლენინი ქართულ სახვით ხელოვნებაში“ (1964 წელი, რეჟისორი ო. ჭიაურელი), „ლენინის წერილი“ (1969 წელი, რეჟისორი შ. ჩაგუნავა) და სხვ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქართული სატელევიზიო ფილმები: „დედისერთა ლენინთან“ და „ჰიმნი ლენინს“.

მაგრამ, ცხადია, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უკვდავი სახე ისევ და ისევ რჩება საბჭოთა კინემატოგრაფისტების ნამდვილი შთაგონების წყაროდ.

პოულობს არა მარტო რეალური ცხოვრების ფაქტებს, არამედ მათ ღრმა მხატვრულ გააზრებასაც.

ნ. დუმბაძე წერს უბრალოდ, ყოველგვარი თავსატეხის გარეშე — ამტკიცებენ და ასაბუთებენ კიდევ ამ თვალსაზრისს ზოგიერთები. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ თავისუფლად მიმდინარეობს თხრობა „მარადისობის კანონში“. სხვები ამბობენ — ნ. დუმბაძის ნაწარმოებებში ყველაფერი მკაფიოდ არის შემოწმებული და გაწონასწორებული, კომპოზიციური ელემენტები პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, სიუჟეტის კონსტრუქცია მტკიცეა. „მარადისობის კანონი“ ამ კრიტიკოსებსაც საკმარის დამამტკიცებელ საბუთს აძლევს. ჩემი აზრით, მასში განსაკუთრებით ორგანულია სხვადასხვა ფხრობითი ნაკადის ურთიერთკავშირი. მწერალი თამამად სარგებლობს ყველა გამოხსენებ-

ლობითი საშუალებით, რის შესაძლებლობასაც აძლევს როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო მხატვრული კულტურის მიერ დაგროვილი გამოცდილება.

ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნ. დუმბაძის მხატვრული სახეებიდან, ჩვენთვის ცნობილი მისი ბევრი სხვა ნაწარმოებიდან და დაკავშირებული ფოლკლორულ-მითოლოგიურ მოტივებთან — „მზის სახე“ — კვლავ გამოჩნდა „მარადისობის კანონში“, როგორც სიკეთისა და მშვენიერების სიმბოლო, როგორც სიბოხსა და ადამიანთა სიყვარულით დაკავშირების სიმბოლო, ცეცხლი, რომელიც თითოეულის სულში ანთია.

რომანი გამოირჩევა აგრეთვე პოლიტიკური სიმანვილით, აქტუალური ფედერალიზმით, რაც იწვევს ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს. რომანი ჩვე-

ნი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა, ეს კი ავტორის მხატვრული ოსტატობის ყველაზე მაღალი შეფასებაა.

ვფიქრობ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ნ. დუმბაძის რომანი არის სოციალური დაკვეთის პასუხი, რადგან მწერალმა მასში გამოხატა ის, რაც უნდოდა და რაც აუცილებლად უნდა ეთქვა მისი პირით ხალხს. სწორედ ამის გამო მწერლისა და მისი გმირის მიერ აღმოჩენილ მარადისობის კანონს, ზოგადადამიანური ცხოვრების კანონს, აქვს არა განყენებული ესთეტიკური ღირებულება, არამედ იგი გამოხატავს იმ მწერლის პარტიულ და მოქალაქეობრივ პოზიციებს, რომელმაც თავისი კალამი ხალხის ინტერესების სამსახურში ჩააყენა.

„ლიტერატურაი გაზეთი“, № 11, 1980 წ.



დაბადების 50 წელი შეუსრულდა ჩვენს სასაქონლო მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავას.

1975 წლის სექტემბერში აკადემიკოსი ვ. მ. ოკუჯავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრობლემების განყოფილების აკადემიკოს-მდივნად აირჩიეს. 1967 წლიდან კითხულობს ლექციების კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ვ. მ. ოკუჯავა არის იუნესკოსთან არსებული ტვინის

კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, კლინიკური ნეიროფიზიოლოგიისა და ელექტროენცეფალოგრაფიის საერთაშორისო ჟურნალის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, მთავარი რედაქტორი ჟურნალისა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ბიოლოგიური სერია“, ჟურნალ „ნეიროფიზიოლოგიის“ რედკოლეგიის წევრი. 1975 წლიდან იგი საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 14 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ვაჟა ოკუჯავას ესაუბრება ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი.

რედაქტორი: ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგიისა და ჩვენი მრავალათასიანი მკითხველის სახელით სულითა და გულით გილოცავთ დაბადების 50 წლისთავს და შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებას. ასევე გულითადად გილოცავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევას.

რექტორი: დიდი მადლობა.
რედაქტორი: სასიხარულოა, რომ თქვენს სახელოვან იუბილეს დაემთხვა თქვენი, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ახალი დიდი აღიარება: სულ ახლახან თქვენ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი გახდით. უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თქვენ აღუთქვით დამსწრეთ, რომ ძალ-ღონესა და ენერჯიას არ დაიშურებთ თბილისის უნივერსიტეტის დიდებული ტრადიციების გაგრძელებისათვის. კიდევ რაიმეს ხომ არ დასძენდით დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს?

რექტორი: მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ნდობა, რომელიც გამოიძახადა, ჩემთვის უდიდესი პატივია და იგი მოვალეობისა და ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობას იწვევს ჩემში. დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, საუნივერსიტეტო განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იმისათვის, რომ იყო მაღალი დონის სპეციალისტი, პროფესიონალი, საკმარისი აღარაა ცოდნის გარკვეული მარაგის დაგროვება, აუცილებელია ამავე დროს მეცნიერული კვლევის უნარი და

ჩვევა, რამაც დიდი პრობლემები დააყენა უნივერსიტეტის წინაშე და წინ წამოსწია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ახლებურად წარმართვის საკითხი. ეს საქმე ახალ თვისებრივ საფეხურზე ასაყვანი ყოველივე ამის განხორციელების ერთ-ერთი რეალური გზაა სხვადასხვა საუნებრო დაწესებულებებთან და განსაკუთრებით აკადემიის სისტემის ინსტიტუტებთან მჭიდრო კონტაქტი. მხოლოდ ასეთი კოორდინაციის გზით შეიძლება სტუდენტთა ფართოდ ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელი პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში. მე იმედი მაქვს, ეს შემოქმედებითი კავშირი წარმატებით განვითარდება და დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს.

რედაქტორი: თქვენი, როგორც ნეიროფიზიოლოგის, ინტერესების გაღვივებასა და ჩამოყალიბებაში ვინ შეასრულა მთავარი როლი? ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები მეცნიერებაში?

რექტორი: სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ჩემი, როგორც მეცნიერის და მკვლევარის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს აკადემიკოსებმა ი. ბერიტაშვილმა და ნ. ვორონინმა. შემდგომ წლებში მეტად მნიშვნელოვანი იყო ნევროლოგიასთან ზიარება. სწორედ ამიტომ მეცნიერად ჩემს ჩამოყალიბებაში ძალზე დიდი გავლენა მოახდინა აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილთან დაახლოებამ და მასთან ერთად მუშაობამ. ყოველთვის დიდ პატივად მივიჩნევ, თავი ამ დიდი მეცნიერის მოწაფედ ჩავთვალო.

რედაქტორი: თავდაპირველად თქვენ თითქმის ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდით თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. შემდეგ კი სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრეთ. გთხოვთ, „დროშის“ მკითხველებს მოუთხროთ ამის თაობაზე.



1933 წლის 29 ოქტომბერი იდგა. მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა ლენინური კომკავშირის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პლენუმში.

იმ დღეს პლენუმზე მძიმე მრეწველობის განვითარებაში ახალგაზრდობის როლისა და ამოცანების საკითხს განიხილავდნენ.

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკვეთებელი ქარხნიდან პლენუმზე წარგზავნილი საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი — ზეინკალი ნიკოლოზ ზაქარაშვილი

საქართველოში შირველთაგანი...

კუთხეში მიმჯდარიყო და ბლოკნოტში იწერდა თავისთვის საინტერესო ციფრებს და ფაქტებს.

დარბაზი მოულოდნელად ტაშის გრაღმა გააყრუა.

ტრიბუნისკენ დინჯი ნაბიჯით მიდიოდა მიხეილ კალინინი.

მიხეილ კალინინმა საზეიმოდ ამცნო შეკრებილებს, რომ მძიმე მრეწველობაში გმირული შრომისა და მიღწევებისთვის, ჩვენი ქვეყნის ოცდაცამეტი კომკავშირელი დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ლენინის ორდენი საბჭოთა კავშირის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 6 აპრილის დადგენილებით დაწესდა.

მიხეილ კალინინი ლენინის ორდენით დაჯილდოებული ახალგაზრდების გვარებს კითხულობდა.

როცა ტრიბუნიდან მკაფიოდ გაისმა — ნიკოლოზ პეტრეს ძე ზაქარაშვილი — გარინდებულ დარბაზში ისევ იქუხა ტაშმა.

მოდო და ნუ აფორიაქდები: გუშინდელი ტლუ ბიჭი, გლენჯაკის შვილი, ახლა ერთი რიგითი ზეინკალი თავდადებულმა შრომამ ისე აამაღლა, ისე განადიდა, რომ

რეპორის პირველი ინფორმაცია



რეპორი: დღესაც თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ჩემს ბიოგრაფიაში არის ასეთი თითქოსდა შეუსაბამობა. ის ოთხი წელი, რომელიც უნივერსიტეტის კედლებში გავატარე, ფრიად ნაყოფიერი იყო ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი ძვირფასი მასწავლებლები, დიდი ქართველი მეცნიერები: გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია...

რეპორი: ასე რომ, თქვენ ამ ორივე უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილი ბრძანდებით.

რეპორი: უეჭველად. სიტყვა აღმზრდელი სრულიად თანაბრად შეეფერება, როგორც ერთ, ისე მეორე სასწავლებელს.

რეპორი: როდის და რა თემაზე დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია? სადოქტორო? რომელ წელს აგირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში?

რეპორი: საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი 1960 წელს, თემაზე „თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების დენდრიტული აქტივობის ელექტროფიზიოლოგიური და ფარმაკოლოგიური ანალიზი“; სადოქტორო — 1966 წელს, თემაზე „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“. 1967 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს ნამდვილ წევრად ამირჩიეს.

რეპორი: გთხოვთ მოგვითხროთ, უცხოეთის რომელ ქვეყნებში გამოქვეყნდა თქვენი შრომები? მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი მონოგრაფია „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“ სულ მალე ოქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად — ისე დიდი იყო მისი აღიარება...

რეპორი: უცხოელ კოლეგებს არაერთგზის შემოუთავაზებიათ ჩემთვის ამ ნიგნის ინგლისურ ენაზე თარგმნა, მაგრამ ოფიციალური გზებით გაკეთდა ამ მიმართულებით რაიმე თუ არა, ჩემთვის ცნობილი არ არის. სხვა შრომები უცხოეთში ბევრჯერ იყო დასტამბული. მაგალითად, ვრცელი წერილი „ეპილეფსიის ნერვული მექანიზმები“ გამოქვეყნდა დასავლეთ გერმანიაში სპეციალურ ჟურნალში, რომელიც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს აცნობს გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩემი მუშაობის დროს იქაურ კოლეგებთან ერთად მრავალი სტატია მათზე გამოქვეყნებული საერთაშორისო ჟურნალებში.

რეპორი: რას ურჩევდით სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომლებიც მეცნიერულ მოღვაწეობაზე ოცნებობენ?

რეპორი: სტუდენტებსა და ასპირანტებს მე ვურჩევდი, მკაცრად შეამოწმონ საკუთარი თავი — სწამთ თუ არა, რომ მეცნიერების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ, როცა დარწმუნდებიან, რომ მეცნიერება მათი

ძირითადი თუ არა, ერთ-ერთი მასულდგმულელები, ვუსურვებდი მუდამ დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას — გრძნობას, რომელიც მეცნიერების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, ცნობისმოყვარეობას, რომლის დაკმაყოფილებაც უდიდეს შემოქმედებით სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს მკვლევარს.

რეპორი: რამდენადაც ვიცით, გალაკტიონ ტაბიძე თქვენი ოჯახის ახლობელი ბრძანდებოდა. ბავშვობისას უთუოდ ხვდებოდით პოეტს. რა უფრო დაგამახსოვრდა?

რეპორი: როდესაც დიდი პოეტი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, ძალიან პატარა გახლდით, ასე რომ, ჩემი მოგონებები ბავშვური და ბუნდოვანია. ის გრძნობა კი შემომრჩა დღემდე, რომელსაც ინვევდა არაჩვეულებრივი, უღრმესი პატივისცემა გალაკტიონსა და ჩემს მშობლებს შორის. ეს იყო ჭეშმარიტი ურთიერთგაგება და დაფასება.

რეპორი: ბუნებრივია, რომ „დროშის“ მკითხველებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, აინტერესებთ ყველაფერი, რაც კი თბილისის უნივერსიტეტის რექტორს ახასიათებს. რა არის თქვენი გატაცება? რა ადგილი უჭირავს სპორტს თქვენს ცხოვრებაში?

რეპორი: ჩემი მთავარი გატაცება ადამიანის თავის ტვინის მეცნიერული კვლევაა. რაც შეეხება სხვა გატაცებას, ეს, უპირველეს ყოვლისა, მუსიკაა, სახვითი ხელოვნება, პოეზია. ამ მხრივ პროფესიონალი შემოქმედისაგან განსხვავებით მე უთუოდ უფრო ბედნიერიც კი ვარ, რადგან არც შემიძლია და არც ვალდებული ვარ შემოვიხაზვო ხელოვნების რომელიმე ერთი ვინაო სტილით ან მიმართულებით. სპორტს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. სამწუხაროდ, დრო ყველაფრისათვის არ მყოფნის. ცოტ-ცოტას ვთამაშობ ჩოგბურთს, მიყვარს ცურვა. და რა თქმა უნდა, ვარ ჩვენი სპორტის თითქმის ყველა სახეობის წრფელი გულშემმატკივარი.

რეპორი: რადგან სპორტი ვახსენეთ, ხომ არ ინებებდით, რაიმე გეთქვათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისათვის? რას უსურვებდით მოსკოვის ოლიმპიადის ქართველ მონაწილეებს?

რეპორი: როგორც გულშემმატკივარს და პატრიოტს, მსურს ჩვენს დინამოელებს ვუსურვო სანუკვარი „დუბლი“. ქართველ ფეხბურთელებს აქვთ შესანიშნავი ტრადიციები და მჯერა, რომ ჩემი, და არა მარტო ჩემი, ოცნება შესაძლებელია განხორციელდეს. ნლევანდელი მოსკოვის ოლიმპიადიდან ველი მედლებით შემკობილი ჩვენი სპორტსმენების დაბრუნებას. ვუსურვებ მათ, გარდა ამისა, ოლიმპიური თამაშების სულისკვეთებით გამსჭვალვას და ამ სულისკვეთების დანერგვას ჩვენს რესპუბლიკაში.

16408

საქვეყნოდ გახდა ცნობილი და ჩვენი ქვეყნის უპირველესი ჯილდო — ლენინის ორდენი დაიმსახურა.

თვალწინ დაუდგა კასპის რაიონის სოფელი კავთისხევი, გაახსენდა უღელმთაბოდ დარჩენილი ოთხი და-ძმა, სილატაკე, უიმედობა, ლუკმა პურის საშოვნელად ბობოლა გლეხთან მოჯამაგირედ წოწიალი...

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოუტანა ნიკოლოზ ზაქარაშვილს და მასავით მამრალ ადამიანებს საკუთარი თავისადმი რწმენა და მომავლის იმედი.

კავთისხევიდან ნიკოლოზი მალე თბილისში ჩამოვიდა და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლის მოწაფედ დაიწყო მუშაობა.

სახელოსნო ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხნად გადაკეთდა. აი, სწორედ აქ ეზიარა შრომის ჭეშმარიტ მადლს ახალგაზრდა ზეინკალი ნიკოლოზ ზაქარაშვილი; თავდადებული და უანგარო შრომით სწორედ აქ მოიპოვა დამკვეთელმა კომკავშირელმა შრომითი გამარჯვება, რამაც პირველი ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში მთელ კოლექტივში პირ

ველი ადგილი არგუნა და ახლა ლენინის ორდენი მოუტანა.

როგორც იყო გათენდა საოცნებო და დაუვიწყარი დღე.

ნიკოლოზ ზაქარაშვილი დაუოკებელი მღელვარებით შევიდა კრემლში. მიხეილ კალინინის მისალეები ოთახი სადად იყო მოწყობილი. აბელ ენუქიძემ მკლავზე ხელი შეაფლო აღელვებულ ნიკოლოზს და კეთილი ღიმილით მხნეობა და სიმშვიდე შემატა მას.

მიხეილ კალინინმა ნიკოლოზს მკერდზე მიაბნია ლენინის ორდენი, მსურვალედ ჩამოართვა ხელი და წარმატება მიულოცა.

ბოლოს მიხეილ კალინინმა გვერდზე გაიხმო აბელ ენუქიძე და ხმადაბლა დაუწყო საუბარი.

ამ საუბრის შინაარსს ნიკოლოზ ზაქარაშვილი მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა თბილისში გამოგზავრებისას მას სხვადასხვა საჩუქარი და ჯილდო გადასცეს.

მატარებელი ქმენით მიაპობდა სივრცეს.

იღვა ვაგონის ფანჯარასთან ნიკოლოზ ზაქარაშვილი და იმაზე ფიქრობდა, რომ ნანატრი ბედნიერება მას და ყველა მშრომელს მხოლოდ დიდი ლენინის მიერ შექ

მნილმა კომუნისტურმა პარტიამ, ხალხის ნება-სურვილმა მოუტანა.

* * *

ამას წინათ ნიკოლოზ ზაქარაშვილი რედაქციას ესტუმრა.


მან უკვე სამოცდაათ წელს გადააბიჯა, პენსიაზე გავიდა, მაგრამ ჭარბადად გამოიყურება, კვლავ ენერგიითა და ხალისით არის აღვსილი.

— ცხოვრების დიდი გზა გავიარე, — გვითხრა ნიკოლოზ ზაქარაშვილმა, — ჯერ დებოს კომკავშირის. კომიტეტის მდივნად ამირჩიეს, მალე კომუნისტური პარტიის რიგებში შევედი; პარტიული სკოლა დავამთავრე და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე ვმუშაობდი...

მოსაუბრე წამით შეჩერდა და განაგრძო:

— ამას იცით, რატომ გუეზნებით: ყველგან, სადაც ვიყავი, სადაც ხალხს ვემსახურებოდი, განუყრელად დამდევდა ის ფიქრი — მოსკოვიდან მომავალს ვაგონის ფანჯარასთან რომ მიტრიალებდა გონებაში ლენინის ორდენით დამშვენებულ კომკავშირელს...

თეიმ რილაჩავა.



1980 წლის 19 ივლისს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში საზეიმოდ აგიზგივდება XXII ოლიმპიური თამაშების ჩი-რალდანი.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპორტსმენები თექვსმეტი დღის განმავლობაში დაძაბულ ბრძო-ლაში ჩაებმებიან ოლიმპიურ თამაშებში გამარ-ჯვებულთა კვარცხლბეკის საფეხურებზე ასასე-ლელად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადა-წყვეტილება, რომ 1980 წლის ზაფხულის ოლიმ-პიური თამაშები მოსკოვში ჩატარდეს, საერთა-შორისო სპორტული მოძრაობის განვითარება-ში საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო წვლილის ნათელი დადასტურებაა. ეს გადაწყვეტილება კი-დევე უფრო ზრდის ჩვენი სპორტსმენების პასუ-ხისმგებლობას, მეტ მოთხოვნებს უყენებს მათ, რომ საკუთარ მიწა-წყალზე ახალი თვალსაჩინო მიღწევებით გააგრძელონ ის ესტაფეტა, რომელიც მათ პელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე აიღეს.

ოლიმპიური შეჯიბრების მაღალ ორგანიზაცი-ულ და სათანადო სპორტულ დონეზე ჩატარება მეტად საპატიო ამოცანაა. ამიტომაც არის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა ასე მონდომებით ემზადება ოლიმპიური თამაშებისთვის, რომლებიც მოსკოვ-ში, ლენინგრადში, კიევში, მინსკა და ტალინში ჩატარდება.

რასაკვირველია, ოლიმპიური თამაშების ძირი-თადი ცენტრი მოსკოვი იქნება. ჯერ კიდევ მა-შინ, როცა მოსკოვს ოლიმპიური თამაშების მა-სპინძლის კანდიდატურად ასახელებდნენ, საერ-თაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთა-შორისო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელ-ობამ, გამოჩენილმა სპორტსმენებმა, სპორტულმა ჟურნალისტებმა საჯაროდ აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს სრული შესაძლებლობით ძალუძს, უზრუნველყოს ოლიმპიური თამაშების საუკეთესო ორგანიზაცია.

მოსკოვის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმაში, ოლიმპიური თამაშების მა-სშტაბისა და დონის გათვალისწინებით, მთელი რიგი კორექტივები შეიტანეს.

ოლიმპიადისთვის გათვალისწინებული ძირითა-დი სპორტული კომპლექსი თავს იყრის ლუნიკე-ბში — ვ. ი. ლენინის სახელობის რეკონსტრუი-რებული ცენტრალური სტადიონის ბაზაზე. აქ-ვე აიგო უნივერსალური სპორტული დარბაზი „მეგობრობა“, რომელშიც გაიმართება ოლიმ-პიური პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბ-რებები ფრენბურთში; მეორე სპორტულ ცენტრს წარმოადგენს კრილატსკოე: აქ სანიჩბოსნო არ-ხთან ერთად, კომპლექსში თავმოყრილია ველო-ტრეკი, საგზატეცილო ველორობლელთა წრი-ული არენა და მშვილდოსნობისთვის განკუთვ-ნილი მინდვრები.

შეჯიბრებები კრივსა და კალათბურთში, ცუ-რვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში ჩა-ტარდება მშვიდობის პროსპექტზე აგებულ ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ კომპლექსში.

თანამედროვე ტიპის კეთილმოწყობილ სპორ-ტულ ბაზებთან ერთად, წარმატებით წყდება სპორტსმენტს ჯულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებიც, სორციელდება სა-ზოგადოებრივი ტრანსპორტის სრულყოფის ღო-ნისძიებები, მიმდინარეობს დედაქალაქის საერ-თო ხედის გალამაზების სარესტავრაციო სა-მუშაოები.

ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათ-ვის, რომ XXII ოლიმპიურმა თამაშებმა საუკეთე-სოდ ჩაიაროს და იგი სპორტსმენტა დაახლოე-ბის, ურთიერთგაცნობის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების მძლავრ ფორუმად გადაიქცეს.


ოლიმპიური სტარტისთვის დაძაბულად ემზა-დება ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკა. ამჟამად მონდომებით და მთელი პასუხისმგებ-

საქართველოს სპორტსმენები თლიმპიადაზე

ქართული
ოლიმპიური

დავით პარტინაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



საქართველოს VII საზაფხულო სპარტაკიადის გახსნა.

ლობით გადიან წვრთნას საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდები. ემზადებიან ცა-ლკეული სპორტსმენებიც. ჩვენ თვალუწვდენელ სამშობლოში ახლა არ არსებობს არც ერთი კუ-თხე, სადაც არ იღვწოდნენ და დაუოკებელი სუ-რვილი არ ჰქონდეთ, რომ თავიანთი სპორტსმე-ნები მიაღწიონ კაცობრიობის ახალგაზრდული სპორტული ძალების დიდ ფორუმზე — მოსკო-ვის XXII ოლიმპიადაზე.

რა თქმა უნდა, არც ქართველი სპორტსმენე-ბი რჩებიან ვალში: რესპუბლიკაში მთელი პასუ-ხისმგებლობით, მიზანდასახულად, გეგმაზომი-

ერად მიმდინარეობს მოსკოვის ოლიმპიადისათ-ვის მზადება.

საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობა, რომელმაც ღრმად შეისისხლნორცა უძველესი სპორტული ეროვნული სახეები (ქართული ჭი-დაობა, ჩოგანბურთი, ლელო, ისინდი, ყა-ბახი და სხვ.), წარმატებით აგრძელებს და ავითარებს საუკეთესო ტრადიციებს. ჩვენი სა-ხელოვანი, მრავალგზის ნაცადი სპორტსმენები, როგორც იტყვიან, თავს არ ზოგავენ, რომ ღირ-სეულად წარსდგნენ მოსკოვის ოლიმპიურ თამა-შებზე.



ქართველ სპორტსმენებს არასოდეს შეურცხვენი-
ათ თავი. 1952 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირმა
პირველად მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამა-
შებში, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები
ყოველთვის წარმატებით გამოდიან ოლიმპია-
დებზე. პელსინკის XV ოლიმპიადაზე თავი ისა-
ხელეს და ჩემპიონები გახდნენ მ. ჯუღელი, დ.
ციმაკურიძე, რ. ჩიჩიშვიანი; XVI ოლიმპიურ თა-
მაშებზე ჩემპიონების მედლები მოიპოვეს მ. ცა-
ქალაძემ, გ. კარტოზიამ, XVII ოლიმპია-
დაზე — ა. ქორიძემ, რ. შავლაყაძემ, XVIII
ოლიმპიადაზე — ვ. კაჭარავამ, ნ. ასათიანმა,
XIX ოლიმპიადაზე — ვ. სანევემა, რ. რურუამ,
XX ოლიმპიადაზე — ვ. სანევემა, ლ. თედიაშვი-
ლმა, შ. ჩოჩიშვილმა, მ. ქორქიამ, ზ. საკანდელი-
ძემ, ვ. კრატასიუკმა, XXI ოლიმპიადაზე — ვ. სა-
ნევემა, ლ. თედიაშვილმა, ა. ანნილოგოვმა.

ოლიმპიურ ასპარეზობებში ჩვენი რესპუბლი-
კის 103-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილე-
ობა, რომელთაგან 59 სპორტსმენმა მედლით და-
იმშვენა მეკრდი.

ოლიმპიურ თამაშებზე რესპუბლიკის სპორტ-
სმენთა შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ
ჩვენი სპორტსმენები ტრადიციულად ყველაზე
მეტ წარმატებას აღწევენ სამ სახეობაში: მძლე-
ოსნობაში, კალათბურთში, ჭიდაობაში. სტატი-
სტიკა იმასაც ლაღადებს, რომ ჩვენში ყველა
მწვრთნელი როდი მუშაობს საერთაშორისო
მოსოვნათა დონეზე. ამჟამად რესპუბლიკაში
3000-მდე მწვრთნელი გვყავს. სამწუხაროა, მაგ-
რამ ფაქტია, რომ ამ დიდი არმიიდან მხოლოდ
45 სპეციალისტმა შეძლო მუშაობაში წვრთნის
მონაწილე მეთოდის გამოყენება, გამოჩენილი
სპორტსმენების მოზადების დონის და გამოც-
დილებათა პრაქტიკაში გამოყენება, პერსპექტი-
ული სპორტსმენების ძიება და სწორი შერჩევა;
მხოლოდ მათ შეძლეს პროფესიული მოზადე-
ბის სისტემატური ამაღლების გზით აღეზარ-
დათ საერთაშორისო კლასის სპორტსმენები,
რომლებიც წარმატებით იცავენ საბჭოთა კავში-
რის ღირსებას ოლიმპიურ თამაშებზე.

ეს მწვრთნელები არიან დღეიდანა და ძიებაში
მყოფი სპეციალისტები, ისინი, თუ შეიძლება ასე
ითქვას, უფრო მეტს სწავლობენ და უფრო მეტს
იზრდებიან აღსაზრდელების გამარჯვებათა
ზრდის კვალობაზე.

აი, სწორედ ასეთ მწვრთნელებს უნდა გაჰყ-
ვნენ სხვები, აი, სწორედ ასეთ მწვრთნელებში
უნდა ვხედავდეთ, ვეძიებდეთ ჩვენი მომავალი
წარმატებების ერთ-ერთ მტკიცე და საიმედო
სანინდარს. კარგი მონაცემების მქონე სპორტ-
სმენის დაოსტატების დონის არსული ამაღლები-
სათვის საჭიროა ჯერ კიდევ არასრულად გამო-
ყენებული ყველა რეზერვის მთლიანი ამოქმე-
დება.

სპორტის შემდგომი განვითარება, მაღალკვა-
ლიფიციური სპორტსმენების მოზადება, სპორ-
ტულ ბრძოლებში გამარჯვებათა მწვერვალების
მიღწევა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არ-
სებობაზე, მის შემდგომ განმტკიცებაზე.

მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის, ბე-
ლორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ბალტი-
ისპირეთის რესპუბლიკებში უანასკნელ წლებში
აშენდა მთელი რიგი სპორტული კომპლექსები,
რომლებშიც წამყვანი სპორტსმენები ვარჯიშო-
ბენ და ცხოვრობენ ყოველგვარი პირობების სა-
ნიმუშო დაცვით. ისინი უზრუნველყოფილნი
არიან სასწავლო-საწვრთნელი პროცესისა და
სარეაბილიტაციო საშუალებათა მაქსიმალური
გამოყენებით.

სპორტსმენთა მოზადების საკითხის ამგვარ-
მა კომპლექსურმა, პროფესიონალურ დონეზე
გადაწყვეტამ, ზემოაღნიშნულ რესპუბლიკებს
საშუალება მისცა მიკლუ დროში დიდი წარმა-
ტებებისათვის მიეღწიათ. სხვა რომ არაფერი
ვთქვათ, ამაზე ნათლად მეტყველებს სსრ კავში-
რის ხალხთა VII სპარტაკიადის შედეგებიც.

ამ მიმართებით ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო
ხანებში ბევრი რამ გაკეთდა. საქართველოს კო-
მპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქარ-
თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიუ-
რი ზრუნვის მეოხებით ჩვენს სპორტსმენებს სა-
შუალება მიეცათ მოზადებულიყვნენ და ეასა-
რეზათ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“
რეკონსტრუირებული ჭინკალური კომპლექსის
სარბიელზე, ლენინური კომკავშირის სახელო-
ბის საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის აუზში,
სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ზამ-
თრის მძლეოსნური მანეჟის ბილიკებზე, ძიუ-
დოს სპეციალიზირებულ დარბაზში და სხვ.

მაინც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენ
დიდი მუშაობა მოგველის, რომ სპორტსმენთა
შედეგების ზრდის ტემპი დღევანდელი მოსოვნე-
ნილების დონეზე ავიყვანოთ. რესპუბლიკის სპო-
რტსმენთა შედეგები მართალია იზრდება, მაგ-
რამ ეს ზრდა ნელი ტემპით ხდება. სპორტულ
ორგანიზაციებს შეუძლიათ და ვალდებულნიც
არიან, უკეთ იმუშაონ. ამისთვის, უპირველეს
ყოველისა, საჭიროა გამართული სტრუქტურა,
გამართული ორგანიზაციული სისტემა, მუშაო-
ბის ერთიანი მართვა, მისი დროული კოორდი-
ნაცია.

დღეს სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური
თუ სამედიცინო ღონისძიება მიმართულია და-
ლილობის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ აუ-
ცილებელი პირობების შესაქმნელად, რომლებიც
უზრუნველყოფენ შრომისუნარიანობის სწრაფ
და სრულ აღდგენას. სპორტული რეკორდების
სწრაფი ტემპით ზრდის მიუხედავად, ადამიანის
პოტენციური შესაძლებლობანი, მისი სპო-
რტული მიღწევების შემდგომი ზრდა — სრუ-
ლიადაც არ არის ამოწურული. ამიტომაც დღე-
ვანდელ ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება ჩვენი
სამეცნიერო, სამედიცინო, სხვადასხვა სპეცია-
ლური დაწესებულების მიერ ორგანიზმის აღ-
დგენითი სამუშაოების ეფექტური სისტემის
შემუშავების აუცილებლობა. ეს სპორტსმენს

საშუალებას მისცემს ყოველდღიურად შესარუ-
ლოს შედარებით დიდი სანვრითი დატვირთვები
და მეტი შესაძლებლობა შექმნას სასურველი
მიზნის მისაღწევად.

ერთი სიტყვით, თანამედროვე სასწავლო-საწ-
ვრთნელი მუშაობის წარმართვისას აუცილებელია
ყოველმხრივი ზემოქმედების მეცნიერული ფორ-
მების გამოყენება.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ასამდე სპორტსმე-
ნი აცხადებს პრეტენზიას XXII ოლიმპიურ თა-
მაშებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებ-
ლად. მათ ჯერ კიდევ რამდენიმე შესარჩევ ტუ-
რნირსა და შეჯიბრებაში მოუწევთ შერჩენება,
რომ უფლება მოიპოვონ საბჭოთა სპორტის წა-
რმომადგენლები გახდნენ მოსკოვის ოლიმპია-
დაზე.

ვფიქრობთ, ჩატარებულმა ქმედითმა ღონის-
ძიებებმა — სპორტსმენების, მწვრთნელების,
მეცნიერების, ექიმების დაძაბულმა შრომამ, გა-
აზრებულმა, სწორმა კოორდინაციამ სასურვე-
ლი ნაყოფი უნდა გამოიღოს, ქართველმა სპო-
რტსმენებმა კვლავაც უნდა ისახელონ თავი.

ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მეო-
თხედ ემზადება მეხიკოს, მიუნხენისა და მონ-
რეალის ოლიმპიადების ჩემპიონი, სპორტის და-
მსახურებელი ოსტატი ვიქტორ სანევეცი. ვიქ-
ტორს უდიდესი შრომისმოყვარეობა, გაუტყნე-
ლი ნებისყოფა, მიზანსწრაფვა საშუალებას აძ-
ლევს უკვე მრავალი წლის მანძილზე ზედზედ
მიადნოს შესანიშნავ შედეგებს; მასთან ერთად
მინდა აღვნიშნო — ორგზის ოლიმპიური ჩემ-
პიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლე-
ვან თედიაშვილი, რომელიც შემართებით ემზა-
დება კარზე მომდგარი XXII ოლიმპიადისთვის.

ე. ნ. მეორე სპორტულ ახალგაზრდობას გა-
ნიცდის ქეთევან ლოსაბერიძე, რომელმაც შეს-
ვენების შემდეგ საგრძობლად გააუმჯობესა
თავისი შედეგები და შესანიშნავ სტაბილურობას
გვიჩვენებს მშვილდ-ისრის ტყორცვაში.

ათლებებიდან უნდა აღვნიშნოთ მსოფლიოს
1978 წლის ჩემპიონი ვახტანგ ზღაბიძე. მისი სა-
ოცარი ნებისყოფა, შეუპოვრობა, მაღალტექნი-
კური და ტექნიკური ოსტატობა იმედს გვაძ-
ლევს, რომ სპორტსმენი კვლავაც დიდ წარმა-
ტებას მიაღწევს.

გორში ნაყოფიერად მუშაობენ შესანიშნავი
მწვრთნელები გივი ზაუტაშვილი და გურამ პა-
პიტაშვილი, რომლებმაც არაერთი გამოჩენილი
სპორტსმენი აღზარდეს. მოვიდა ოლიმპიური
ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის ღირსეული
ცვა — თემურ ხუბულური, რომელზეც ახლა
დიდ იმედს ვამყარებთ. მასთან ერთად ემზადე-
ბიან თ. ნამგალაური, შ. ხაბარელი, რ. ხარში-
ლაძე, შუბის მტყორცნელი საიდა გუნბა, ფეხ-
ბურთელები ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი და-
რასელია, ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველი-
ძე, რევაზ ჩელეძაძე, მოჭიდავეები: გივი მაქა-
ცარაშვილი, მიხეილ სალაძე, თემურ კახარაშვი-
ლი, აღიარებული ოსტატები — ა. ანნილოგოვი,
დ. კვაჭაძე, ვ. ისელიძე, სტენდის მსროლელები
თამაზ იმნაიშვილი, თეიმურაზ მატოიანი, ახალ-
გაზრდა სპორტსმენები ნ. დერიუგინი, ა. ტაბი-
ძე და სხვები. ჩვენ აქ არ ვასახელებთ ყველა
სპორტსმენს, რომლებსაც უნარი შესწევთ და ახ-
ლა გაცხოველებით ემზადებიან, რათა ჩვენი
სამშობლოს ოლიმპიური ნაკრები გუნდების შე-
მადგენლობაში დაიმკვიდრონ ადგილი.

საბჭოთა სპორტი, რა თქმა უნდა, მსოფლი-
ოს საუკეთესო სპორტსმენთა ფორუმზე — XXII
ოლიმპიურ თამაშებში ერთხელ კიდევ იზეიმებს
ბრწყინვალე წარმატებებს. ამ წარმატებებში
ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიც შეიტანენ
თავიანთ წვლილს. დიას, ჩვენი რესპუბლიკის წა-
რგზუნელებიდან ვანოზოზომიერ გამარჯვებულს
ველით ოლიმპიურ ასპარეზზე.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელები.



ჩვენი ბუნდი

ცნებაში — „ჩვენი გუნდი“ მრავალგვარი შინაარსი შეიძლება ჩაიდოს. ლანჩხუთელებისთვის, მაგალითად, ეს, პირველ ყოვლისა, „გურიანა“, სამტრედიელებისთვის — „ლოკომოტივი“, ქუთათურებისთვის — „ტორპედო“, ხოლო ერთობლივ ყველასთვის — „დინამო“. დღეს, ისევე როგორც ზედიზედ მრავალი წლის მანძილზე, თბილისის „დინამო“ უპირველესი გუნდია საქართველოსი, ქართული ფეხბურთის ფლაგმანი, მისი ჯვარი და სიამაყე. გუნდი, რომელიც ამდენ სიხარულს გვანიჭებს, ჭეშმარიტად ღირსია გულწრფელი სიყვარულისა. მას ჩვენი ყურადღება და მხარდაჭერა არ უნდა მოაკლდეს.

„დინამო“ არასდროს ყოფილა მხოლოდ თბილისელთა გუნდი. გავისხენოთ, რამდენი ბრწყინვალე ოსტატი გამოუზარდეს მას რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში. ფოთში „დინამოს“ მისცა ბორის პიჭაძე, სოხუმში — ავთანდილ ლოლობერიძე, ბათუმში — ბორის ფროლოვი, ქუთაისში — გივი ნოდია, ზუგდიდში — ვლენტა სურცილაძე, გაგრამ — ვლადიმერ ბარქაია... ისინი შეისისხლხორცნენ თბილისის გუნდს. თავის მხრივ, „დინამო“ მნიშვნელოვანწილად მათ უმადლის თავის სახელოვან გამარჯვებებს.

ასეა დღესაც: „დინამოს“ არ აკლია ყურადღება. იგი კვლავ არის საყოველთაო ზრუნვის საგანი და კვლავ არის გულშემატკივართა იმედი. გუნდის ამჟამინდელ შემადგენლობაში გამოდიან ქუთაისელი ფეხბურთელები (კოსტავა, სულაქველიძე, შენგელია), ბათუმელები (ქორიძე, ჩელებაძე, ხიზანიშვილი); მათ გვერდით თამაშობენ რუსთაველი ხინჩაგაშვილი, ზუგდიდელი გაბელია, ოჩამჩირელი დარასელია. ამაში არაფერია გასაკვირი. ეს სწორედ ასე უნდა იყოს. ამას მოითხოვს არა მარტო ძმობისა და მეგობრობის კანონები, არამედ კანონები თვით თანამედროვე სპორტისა.

თუ საბავშვო, ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდების სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი წარგზავნილების გამოსვლათა მიხედვით ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების საქმე ცუდად არ უნდა იყოს. მაგრამ შემდგომ, როცა ლაურეატებმა თავიანთი ნიჭიერება და შესაძლებლობანი უნდა გამოავლინონ მოზრდილთა ტურნირებსა და დიდ ფეხბურთში, გულშემატკივრები უმეტესად განზრახული მისჩერებიან მათ. გუნდი ბევრია (ჯერ მარტო საქართველოს პირველობაში მონაწილეების), მათ შენახვასა და შეჯიბრებებში მონაწილეობაზე უამრავი თანხა იხარჯება, ნიჭიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით პერსპექტიული ფეხბურთელები კი არ ჩანან. სად არიან? სად ქრებიან „ტყავის

ბურთის“ პრიზზე, „სიჭაბუკის თასზე“, „იმედის თასზე“ გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებული ფეხბურთელები (თუმცა ბოლო ხანებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს პირველთა შორის ვერც ამ შეჯიბრებებში ვხვდავთ). მამ რა ხდება? იქნებ მომავალ ოსტატებს სადღაც გზაში — ბავშვთა ფეხბურთიდან მოზრდილთა ფეხბურთში გადასვლის დროს ვკარგავთ?

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავისხენო ერთი ამასწინანდელი საუბარი. პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ სურვილი გამოთქვა გაცნო მწვრთნელი, რომელიც თელავის „კახეთში“ სამუშაოდ მიიწვიეს. გამოცდილი, საბჭოთა კავშირში ცნობილი ფეხბურთელი, რომელსაც ალბათ ბევრი ასეთი შეხვედრა ჰქონია თავისი ცხოვრების მანძილზე, ელოდა, რომ მისგან აუცილებლად მოითხოვდნენ, გუნდმა ესა და ეს ადგილი უნდა დაიკავოსო, ან კიდევ ეტყოდნენ, „საჭირო“ მოთამაშეები თავადვე მოიყვანეთ. სინამდვილეში კი მსგავსი არაფერი მომხდარა. შეიძლება ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მწვრთნელს თხოვეს, შეეკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები და შეექმნა მათგან პერსპექტიული გუნდი, ისეთი, რომ მისი მოთამაშენი თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც კი მოსწონებოდა. რაიკომის მდივანს ალაპარაკებდა თავისი მხარის, თავისი კუთხის სიყვარული. მას სურდა, რომ ყოველ თელაველს უფლება ჰქონოდა ეთქვა: აი, ჩვენე-ბური კაცი, ჩვენი ქალაქის მკვიდრი თბილისის „დინამოში“ მიწვიესო.

მწვრთნელი ასეთი საუბრისთვის, ისევე როგორც ასეთი მუშაობისთვის, ეტყობა მზად არ იყო. მან ამჯობინა სხვა გუნდის მიწვევა მიელო და სამუშაოდ იქ წასულიყო, სადაც მისგან „არაჩვეულებრივ“ არაფერს მოითხოვდნენ.

მე კი, მაგალითად, თელავის რაიკომის მდივნის პოზიცია ჭეშმარიტ პარტიულ პოზიციად მიმაჩნია. ჩემი ფიქრით, სწორედ ეს არის პარტიული ზრუნვა სპორტსმენებზე, მოსახლეობას შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, მით უფრო, რომ ფეხ-

ბურთი საამისოდ ყველაზე ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

ესე იგი, რა ვუყოთ თელაველ ჭაბუკებს, რომელთაგან, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი სიზმარშიც დინამოელთა თეთრ-ცისფერ მაისურებს ხვდავს? რა ვუყოთ მათ თანატოლებს, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ, ფეხბურთზე მეოცნებე ჭაბუკებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჩასდგომიათ სათავეში კარგი, თავისი საქმის გულშემატკივარი მწვრთნელი? ისინი ჯერ კიდევ ელიან, როდის დაჰკრავს სასურველი ჟამი, როდის გამოჩნდება გულისხმიერი, გამგები კაცი, რომელიც ჭერსაქეტივასაც განჭვრეტს და შეძლებს ხხალგაზრდები მაღალი მიზნებისკენ გაიყოლიოს.

მკითხველი იტყვის, ეს არც ისე იოლიაო. მაგრამ ვინ თქვა, რომ პედაგოგის საქმე იოლია? ყველა, ვინც ოდესღაც ფეხბურთს თამაშობდა (თუნდაც ოსტატთა გუნდში), ყველა, ვინც უმადლესი განათლება მიიღო, ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ვერ იქნება, რადგან ეს მეტად ფაქიზი სამუშაო გახლავთ და მას, გარდა სპეციალური ცოდნისა, მსურველად, საქმის სიყვარულით ანთებული გულიც სჭირდება. სწორედ იმიტომ გვყავს ნაკლებად ახალგაზრდა ტალანტები, რომ ასეთი მწვრთნელები თითებზე ჩამოსათლელნი არიან. სამაგიეროდ, მრავლად არიან და ლალოდ სხვები — დაპირებების უხვად დარიცხვა რომ უყვართ და ნებისმიერი საკითხის „მოგვარება“ სულ იოლად შეუძლიათ.

დიდი ხნის ცნობილი ჭეშმარიტებაა: სპორტსმენი ასპარეზობაში ინართობა და ვაჟკაცდება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრებები მარტო მედლების განაწილება და ლიდერთა თუ აუტსაიდერთა გამოსავლი-



„დინამოელი“ ვ. დარასელია გარდევამზე. თბილისის

ნებლად როდია მოგონილი. გარდა წმინდა სპორტულ-ტექნიკური შედეგებისა (მათ მუდამ მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა და სხვა დროსაც ასე ჭიქნება), ასპარეზობა ფასდება როგორც ვაჟკაცობის და ოსტატობის სკოლა, როგორც მეგობრობის და ამხანაგობის სათავე, შემოქმედებითი სიახლისა თუ მწვრთნელთა საინტერესო ჩანაფიქრის გამოსაცდელი პოლიგონი.

უპასუხებს თუ არა ამ მაღალ მოთხოვნებს ჩვენი შეჯიბრებები ფეხბურთში? სამწუხაროდ, ოდნავდაც ვერ უპასუხებს. ბრძოლამ ადგილისა და ქულებისთვის, რასაც ხშირად ახლავს ინციდენტი, სკანდალი და ჩხუბი, დაჩრდილა ეს ყოველივე. დაესწართ რესპუბლიკური პირველობის მატჩებს და დარწმუნდებით, რომ გუნდებიც და თვით შეჯიბრებაც ძალიან ცოტა რამით თუ მოგვაგონებს ოსტატობის სკოლას, რომ ამალღებული და საზეიმო განწყობილება იქ ძალზე ხშირად იცვლება არაჯანსაღი აჟიოტაჟით. რატომ ხდება ეს? ალბათ იმიტომ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენ იმას კი არ ვმოსავთ პატივითა და სახელთ, ვინც ხის ფესვების სიმტკიცესა და მომავალ მოსავალზე ზრუნავს, არამედ იმას ვუკმევთ გუნდრუკს, ვინც რაღაც მანქანებით ახერხებს წინ წაიფიცს და მეზობელს აჯობოს.

ყველაფერი, რაც ამ ნერილში ითქვა, შეიძლება არც ისე მაჟორულად ჟღერდეს ახალი სეზონის კარიბჭესთან დანერგილი სტატისისთვის, მაგრამ იგი ნაკარნახევია ერთადერთი სურვილით: ვიხილოთ ჩვენი ფეხბურთი და მისი ფლაგმანი კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო თანამედროვე. საამისოდ მას მდიდარი შესაძლებლობები აქვს.



ალბათ ბევრს ახსოვს მზიურელთა და სანიორელთა ჭეშმარიტად საშვილიშვილო მოწოდება — გავალამაზოთ გზის პირები, ყველას ეზო-კარი იყოს სანიმუშოდ მოვლილი და აბალნარებული. თუმცა თვითონ სოფელ მზიურსა და სანიორეს ჯერჯერობით იმაზე მეტი არაფერი გაუკეთებიათ, რაც ზოგიერთმა სოფელმა უკვე გააკეთა, მაგრამ თაოსნობა რომ გამოიჩინეს, ეს დიდი საქმეა. მათ თაოსნობას მსურველედ დაუჭირა მხარი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ და ბევრ სოფელში უკვე დაიწყო ეს მეტად მნიშვნელოვანი მოძრაობა.

დიხს, ჩვენ გვინდა ლამაზი სოფლები, კოხტა სახლებითა და აყვავებული ეზო-ბაღებით, ჩვენ გვინდა, ეკონომიკურ სიძლიერესთან ერთად, სილამაზეც არ დავივიწყოთ და ყველაფერს, რაც კი გაკეთდება სოფელში, გემოვნებიანი კანცის ხელი ეტყობოდეს. წელანაც ვთქვით და ახლაც ვამბობთ, დიდი საქმე დაიწყო და ყველა ჩვენგანის ვალაა ყურადღებით ვიყოთ, რომ იგი ბოლომდე მივიყვანოთ.

სწორედ ამიტომ გავისარჯეთ ამჯერად. ამიტომ ავიღეთ ხელში კალამი. ჩვენ ჩვენს სათქმელს ვიტყვით და ამასთანავე ვთხოვთ ყველას, ვინც ამ საქმეში ღრმად არის ჩახედული, თავისი აზრი გამოთქვას, წაგვეხმაროს, ერთად განვსაზღვროთ და ერთად მოვიფიქროთ ის, რაც ჩვენი სოფლებს სთვის და ჩვენი ხალხისთვის სასარგებლო იქნება.

ქართველ კაცს, ვინ იცის, რამდენი ხანია, დღეს რომ აქვს, ასეთი მშვიდობიანი ცხოვრება არა ჰქონია, არც არასოდეს ყოფილა ასე წელში გამართული. საქართველოს ბევრ სოფელში ისე მომძლავრდა კოლმეურნეობა, ზოგიერთის მოგებას მილიონს გადააჭარბა და ამ ფულით სოფლისთვის რას აღარ აშენებენ და რას აღარ აკეთებენ. ბევრი კოლმეურნეობა კაცდღეზე ათ მანეთზე მეტს ანაწილებს, რაც რამდენიმე წლის წინათ ალბათ დაუჭერებლად გვეჩვენებოდა. და დღეს ასეთ მოლონიერებულ სოფლებში თუ არ არის ისეთი აუცილებელი რამ, როგორცაა აბანო, კლუბი, ბიბლიოთეკა, ეს სოფლის თავკაცების უგერგილობისა და უნიათობის ბრალია და სხვა არაფერი.

ჩვენ ამჯერად ასეთ წყალწალბებულ სოფლებზე არა ვლაპარაკობთ, გვინდა გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების სამი სოფლის მაგალითი მოვიყვანოთ და აღვნიშნოთ ზოგიერთი მტკიცეული და მოუწყვსრივე

ბელი საკითხი. ამ სოფლებს იმიტომ ვიღებთ, რომ სამივემ, მზიურელთა მოწოდების პასუხად, უკვე ბევრი რამ გააკეთა და ბევრი რამის გაკეთებასაც აპირებს.

მაშ ასე, დავიწყოთ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყიდან. ვიდრე იმაზე ვილაპარაკებდეთ, რაც უკვე გაკეთდა და კეთდება სოფლის საკეთილდღეოდ, იკითხველს უნდა შევასხენოთ ის დიდი სამეურნეო წარმატებანი, რაც ბოლო წლებში მოიპოვა ჩუმლაყის კოლმეურნეობამ. შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ოთხი მილიონ ოთხას ათას მანეთს მიაღწია. სოფელში არიან სოციალისტური შრომის გმირები, უხვი მოსავლის ოსტატები. ეს ყველაფერი იმიტომ გავისხენეთ, რომ კოლმეურნეობის სიმდიდრე დიდ გავლენას ახდენს თვით სოფლისა და იქაური კოლმეურნის კეთილდღეობაზე, უამისოდ სოფელი ვერც აშენდება და ვერც დამშვენდება.

გაკეთდა სოფელ ტიბაანშიც და ბევრი რამის გაკეთებასაც აპირებენ.

ყურადღებით გავეცანი სამი სოფლის — ჩუმლაყის, გურჯაანისა და ტიბაანის სახალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოების გადაწყვეტილებებს, რა უნდა გააკეთონ მოკლე ხანში მზიურელთა თაოსნობის პასუხად. ეს გადაწყვეტილებანი ძალიან დიდ სიკეთეს გვპირდება. მთავარი ახლა ის არის, ვინ როგორ შეასრულებს ამ პირობას. ერთი სიტყვით, ვისაც ამ ბოლო დროს კახეთის სოფლებზე იგაუფლია, შენიშნავდა, როგორ იცვალა სახე გზისპირა ბევრმა სოფელმა. გურჯაანის რაიონში ეს დიდი საქმე რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, როცა ამ რაიონის პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა შოთა ეცადაშვილი. ეს

თავის ნებაზეა ეს საქმე შეწყვეტილი და ხშირად უნერხულობაში გვაყენებს. ეს ხნე მარტო ერთ სოფელს ან ერთ კუთხეს რომ ჰქონდეს — კიდევ ჯანდაბას, ხმას არ ამოვიღებდით, მაგრამ ვაი, რომ ბევრის ავადმყოფობად იქცა! რა არის ეს? ან მიბადვია, ან სიხარბე, რომელიც შეიძლება ჩვეულებად იქცეს, იმ ჩვეულებად, რომელზედაც უაჟა-ფშაველა მწარე სიცილით ამბობდა:

„ო, ჩვეულებავ, რა ხარ? შენა ხარ პირველი ბუნებრივი კანონი. კაცის გულში იღვამ ხოლმე თავიდანვე ფესვებს და იმიტომაც გაქვს ეგრეთი ძალა. კაცმა აზრი თავის ცხოვრების წინ გააქცია, დააწინაურა, შენ კი წინ მოიგდე კაცი და ზურგში მათრახის ცემით მიარბუნებ.“

დიხს, ზურგში მათრახის ცემით მიარბუნებებს ეს ჩვეულება ზოგიერთ გლეხკაცს. მაშ რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ დაიწყებს ზოგიერთი გლეხკაცი უზარმაზარი სახლის მშენებლობას და მის დამთავრებას ვერც კი მოესწრება; თუ დამთავრა და რად გინდა! ისეა შიგ ყველაფერი დაწალიკებული, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ: სად სამზარეულოა, სად — სასადილო ოთახი, სად სანოვავე ინახება, სად პირსაბანია (თუ საერთოდ აქვს), აბანოზე ხომ ნურას უკაცრავად, აზრადაც არ მოუვა, რომ ერთი პატარა აბაჯანა მაინც გააკეთოს. სამაგიეროდ, რკინაბეტონის დიდ აივანს დააყენებს იმეზობლის მიხედულობით და სახლს იმ სიმძლვე გალავანს შემოარტყამს, სათოფურებილა აკლია, რომ ციხესიმაგრე იყოს. სამაგიეროდ, ერთი ციციქნა მოხრიოკებული ეზო აქვს და სადღაც ჩადგმული ფეხსადგილი, რომელთანაც ცუდ ამინდში ისე ვერ მიხვალ, თუ ჩექმები არ ჩაიცივ. ასეთი სახლები ჩემ ნაცნობ-ნათესაობაში ბევრი ვიცი, უფრო მეტსაც გეტყოდით, ზოგიერთი მეორე სართულს სულ ვერ იყენებს.

სოფელ ჩუმლაყში ერთი ულამაზესი სახლი ვნახეთ: ძველებური ქართული სტილი კარგად შეეწყო ამშენებელს თანამედროვე სტილისთვის, არცთუ მაღალი იყო, ერთი სიტყვით, კაცი გულგრილად ვერ

თქვენ რას იცხვებით?

სოლომონ დავურხანაშვილი

ვის არ ესამოვნება სოფელ ჩუმლაყში გზის ორივე მხარეს ჩაყოლებული დეკორატიული ღობე, შინმოუსვლელთა ობელისკი — ლამაზი ბაღით გარშემორტყმული, დღის ლამპიონებით განათებული მთავარი გზა თუ საუბნო გზები, ახალი შენობები სკოლისა, ბიბლიოთეკისა, საბავშვო ბაღისა; აშენდა სტადიონის დიდი კომპლექსი, აბანო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ერთი სიტყვით, სოფელს არაფერი აკლია. მარტო ის ფაქტი, რომ 1300 კომლიან სოფელს ოთხი ბიბლიოთეკა ემსახურება, ცოტას როდი ნიშნავს. რა სასიამოვნოა, რომ სოფელ გურჯაანშიც დაიწყო მზიურელთა მოწოდების საპასუხო მოძრაობა: აღადგინეს ნატო ვაჩნაძის სახლი, შიგ მუზეუმი გახსნეს და მსახიობის სახლი უწოდეს, ამავე სოფელში, ვინმე აჯამამედოვის ყოფილი სახლი, თემშარის პირას, გადააკეთეს და საჭაშნიკე გახსნეს. ამ მიმართულებით ბევრი რამ

კარგი ტრადიცია ახლაც გრძელდება. პარტიის გურჯაანის რაიკომის მეორე მდივანმა მოსე სამადაშვილმა მიაშობო, რაიონში სიგელებიც კი დავაწესეთ იმათთვის, ვინც სოფელში კარგად მოაწყო თავისი ეზო-კარი. ეს გონივრული და კარგი ღონისძიებაა და ჩვენი მთავარი სათქმელი სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ.

თავშიც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, ჩვენი გლეხკაცი დღეს მომძლავრდა და იმის გასაქანი მიეცა, დიდი სახლი დადგას, მაგრამ რა გემოვნებით შენდება ეს სახლები, სოფელი როგორ იგეგმება, ამას ან სულ არ ვაქცევთ ყურადღებას, ან ნაკლებად. ერთია შესაძლებლობა და მეორეა გემოვნება და სილამაზე. ზოგიერთ ქართველ კაცს, რაკი ეკონომიკური გასაქანი მიეცა, რატომღაც გაუჩნდა ერთი უცნაური წადილი — რაც შეიძლება დიდი სახლი დადგას, მაგრამ ეს სახლი რამდენად მოსახერხებელია მისთვის, ამას აღარ დაგიდევთ.

ჩაუვლიდა იმ სახლს. როგორც გავიგეთ, ეს სახლი თავისივე პროექტით აგებდნენ პატრონს. ამაში ცუდი რა არის, მაგრამ რა გულდასაწყვეტი იყო, რომ ამ სახლს წინ ერთი ციკქნა ეზოც არ ჰქონდა, ერთი ხეც არ ხარობდა შიგ და თვითონ სახლი ზედ გზაზე იყო მიბჯენილი, სადაც წუთდაწუთ მანქანების გნასი და მტერის ბული ტრიალებს. ან საერთოდ, რა ჩვეულებაა, რომ დღესაც კი, როცა საკმაოდ ვიწრო გზაზე ავტომანქანების ასეთი ინტენსიური მოძრაობაა, ზედ გზის პირას იდგამენ სახლებს. მე თვითონ გახლავართ მოწმე იმისა, თუ მაგანისა და მაგანის სახლში როგორ შევარდნილა სატვირთო ავტომანქანა და რა უბედურება დაუტრიალებია.

სოფელ ტიბანში არაერთი და ორი სახლი ვნახე მაღალი, სქელი გალავნით დაუშნოებული. ეს გალავანი ისეთ საშინელ განწყობილებას ქმნიდა, რომ ერთ ვერ გადმოსცემ. რა მდენი მასალა დაიხარჯა ამ გალავანზე, რამდენი შრომა და რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ სილამაზეც დაეთრგუნა და საშინელი განწყობილება შეექმნა. ამ გალავნის ნაცვლად რომ ცოცხალი ღობე ყოფილიყო, ან შეღებილი მავთულ-ბადე, არ აჯობებდა? ეგებ ვინმემ გვითხრას, ამას დიდი მოვლა უნდა და გლეხკაცს ამისთვის სად სცალიათ. ეს შეიძლება იმან დაიჯეროს, ვინც სოფელსა და იქაური კაცის ცხოვრებას კარგად არ იცნობს. ჩვენმა გლეხკაცმა თვეში ორჯერ რომ უარი თქვა უმიზეზო ქეიფზე, საქმარისი დრო ექნება, თავის ღობესაც მოუაროს და ეზო-კარსაც.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (მეტადრე დასავლეთში) სახლი თითქოსდა არაფერი — მაგრამ იმდენად თვალწარმტაცი ცხოვრებას, რომ მტერსაც კი შეშურდებოდა. კანეთში ერთი ჩემი მეგობარი მიხსნიდა, ჩვენში ლამაზი ეზოების მოწყობა ძნელია, რადგან ზაფხულში დიდი გვალვა იცის. იმ ჩემს მეგობარს ვერ დავეთანხმები. ვისაც იმისი სურვილი აქვს, ეზო ჰქონდეს, შიგ ვარდი, ან იასამანი ახაროს. კაკლისა და ვაშლის ხე

დარგოს, იგი ამას კიდევ ახერხებს, და არცთუ ნაკლებ იმათზე, რომლებიც ასეთ გვალვიან მხარეში არა ცხოვრობენ. ვისაც არა აქვს ამის სურვილი (სამწუხაროდ უმეტესობას), საერთოდ ეზოც არ გააჩნია და სახლები სახლებზეა მიბმული ქალაქურ ყაიდაზე.

მე პირადად არ ვიცი, იმ გლეხკაცსაც კი, ვისაც ნაკლები შემოსავალი სქევს, საიდან დაჰყვა ის უინი, რომ სხვისი მიბაძვით დადგას დიდი ფარულა; გარედან მტერს დაუბრმავოს თვალი, შიგნიდან მოყვარეს და თანაც ეს ყველაფერი იმის ფასად დაუჭდეს, რომ ჰამა-სმაც დაიკლოს, ჩაცმაც და ჯანმრთელობაც გაინახევროს. ან ეს ეგება გალავნები რად შემოვიდა მოდაში? ვის ვემალებით, ვისი გვეშინია, ამ პირქვეშ ციხეებში რომ ვიკეტებით?

ალბათ უკვე დროა, ამ საკითხს გამოვხმაუროს ყველა, ვისაც ეს ამბავი აწუხებს და ვინც ამ საქმეში ღრმად არის ჩახედული! თორემ შეიძლება მერე გვიან იყოს, შეიძლება ჩვენი მაგისტრატების გასწვრივ გავლებული დეკორატიული ღობეებიც ერთფეროვანი გახდეს და სოფლებიც ლოტოს კოჭებივით ერთმანეთს დაემსგავსოს. ამიტომ საჭირო ხომ არ არის, ამ საქმეში აქტიურად ჩაერიონ რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელები, საპროექტო დაწესებულებები და აღვირი ამოსდონ თვითნებურ მშენებლობას სოფლად? ან ეგებ ჩვენი სოფლების თავკაცობა ისეთ ხალხს მივანდოთ, რომლებსაც მეტი გემოვნება აქვთ, მეტი ავტორიტეტი, ვინც თვითონ მისცემს ხალხს მაგალითს და ხალხიც გაჰყვება.

თქვენ რას იტყოდით ამაზე?

რადამცინისაგან:

სასურველია მწერალ სოლომონ დემურხანაშვილის მიერ დაწყებული საუბარი განაგრძოს მკითხველმა, რომელმაც კარგად უწყის თავისი სოფლის სატიკივარსაზრუნავი და ეს ალმომავს კიდევ. ვიმედოვნებთ, წარილს გამოეხმაურებიან არქიტექტორები, კულტურის, ექიმები, სოფლები და კოლმეურნეობების თავაზები...

წიგნი და გჳითხველი

სოქოდიო ტანადოხოლო ქვეყანა

„მთავარი სხვა არის. მთავარია, ადამიანებს რაც შეიძლება დიდხანს შევუნარჩუნოთ სამყაროს საოცრება — სიკეთის შუქი თვალეში“, — ამბობს რევაზ ინანიშვილი ერთ-ერთ მოთხრობაში. სიკეთის ეს საოცარი შუქი ანათებს და აერთებს მოთხრობებს, ნოველებსა და ჩანახატებს, რომელთაც მწერალმა თავი მოუყარა წიგნში — „ჩიტების გამომზამთრებელი“ („მერანი“, 1978).

კრებულში კვლავ ვხვდებით ადამიანური სითბოთი სავსე გმირებს, რომელთა წინაპრებიც ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში. ეს პირველი კეთილი გმირები იყვნენ: მშრომელი, უპრეტენზიო გრიგოლ მასწავლებელი, თორმეტი წლის სიცოცხლით სავსე არჩილი, რომელიც ომის მძიმე წლებმა შეინირა, ნატაშა — „ვეება, სახენათელი, დინჯი, როგორც მისი მშობლიური ვოლგა; ღონიერი, როგორც მისი დამზადებული მინა“ და ნიკალა, რომელიც სულიანხორცინად შეძრა უცნობი ფერმკრთალი ხეობარი კაცის გაჭირვებაში: „რა უნდა ჰქნას, ჰა? — მესაყურე ეკითხებოდა თავის თავს. აი, წავა შინ, შეზლაყუნდებოდა თავის ეზო-ყურეში და ჩვეულებრივ როდი გაახარებს იქაურობა. რაც უნდა მხიარულად შეხედეს ცოლი, მაინც მოეჩვენება, რომ უკმაყოფილო მხედვებია. გული ეტკინება, სათქმელს ვეღარ იტყვის და დაფარული ცრემლი დაახრჩობს... რა უნდა ჰქნას, ჰა?“

ნიკალას სიკეთემ მას შემდეგ მწერლის ყველა მოთხრობაში შეანათა. დინჯად, ჯიუტად მიდის რევაზ ინანიშვილი შემოქმედებით გზაზე ერთხელ არჩეული ფართო ბილიკით და სამუდამოდ აჩრებს თავის მოთხრობებში ადამიანთა ურთიერთობების კეთილ, ამაღლებულ, ლამაზ წამებს.

მწერალი მკითხველს ასე მოკრძალებულად უხასიათებს თავის შემოქმედებით გზას: „მიდიხარ ცხოვრებაში ვიღაც კარგი, მშვენიერი ადამიანებისკენ, და როგორც მინდორში, ანდა ტყეში საინტერესო და ლამაზი მრავალი ხე, მრავალი ბუჩქი, ყვავილი, დაწინკლული პანანინა მწერი მწვანე ფოთოლზე, საინტერ-

ესო და ლამაზია უამრავი რამ ადამიანთა შორისაც, და როგორც კი ასეთ რამეს მოჰკრავ თვალს, მოუთმენლობა გაიყრობს, მიანვდინო ყოველივე მათაც, ვისკენაც გამუდმებით ისწრაფი. ეს არის და ეს“.

ადამიანებს ამშვენებს სიკეთის სულ პატარა შუქიც კი და მწერალი ყველგან და ყველაფერში დაბეჯითებით ეძებს მას. მოთხრობაში „ბოთა“ ძალი ბოთას პატრონია უხეირო დათა. მკითხველი სულ რამდენიმე, ინანიშვილისეული ძუნწად ნათქვამი შტრიხით გრძნობს დათას უქნარობას, ადვილი გამდიდრების სურვილს, მაგრამ პატრონი პატრონია და ბოთაც ძალიან განიცდის მის გადაკარგვას, მერე დათა ბრუნდება.

ორივე ბედნიერია ერთმანეთთან შეხვედრით. „ის უხეირო, უქნარა, დანჯღღრული დათაც და ის საცოდავი კუდმოჭრილი ბოთაც, ორივენი, რაღაცით ძალიან კარგები იყვნენ“, — წერს ავტორი. ისინი ერთმანეთის სიყვარულმა გაალამაზა.

მწერალი ტკივილით წერს იმ ადამიანებზე, რომელთაც სიკეთის გრძნობა დაკარგეს. მოთხრობაში „ჩიტების გამომზამთრებელი“ მკითხველი ეცნობა ოჯახს, ცოლ-ქმარს, რომელთაც წლების მანძილზე დაუკარგავთ ბევრი, ძალიან ბევრი რამ. ეს ცხოვრებისეული სიმართლება პოეზიის, ამაღლებული ურთიერთობის ნაშთი მათ შორის მხოლოდ კედელზე დაკიდებულ ძველ ფოტოსურათზე შერჩენილა. სიცივეს და გაუგებრობას დაუსადგურებია ოჯახში. ცოლ-ქმარი „დაღლილ, ნაღვიან თვალეებს თითქოს არიდებენ ერთმანეთს“.

უცებ კარი იღება და შემოდის მათი თხუთმეტი წლის ბიჭი. მას ხელში პარკი უჭირავს და „მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი“. ბიჭმა თურმე ჩიტბატონები იყიდა გამოსახამთრებლად. გაზაფხულზე უნდა გაუშვას და გაიხაროს მათი სიხარულით.

გაკაპასებული დედა იატაკის სანმენდი ჯოხით მიატყულებს კედელზე ორივე ჩიტბატონს. მამა კი თითქოს თავისთვის უხერხულად ბუტბუტებს: „თუ არავინ გავალებს, არც



R3ენი სპორტული კონკურსი

ჩიტების გამოზამთრებაა საჭირო, თუ არავინ გავალბებს...”

ამ სიტუაციაში ტრაგიკულად გასმის ბავშვის შემთხვეული სიტყვები: „კარგით! კარგით!“

მწერალს აწუხებს ის, რომ ადამიანები ემშვიდობებიან რა ბავშვობას, თანდათან იმსხვერპიან, კარგავენ დიდ, ნათელ სამყაროს. ეს ზოგისათვის შეუმჩნევლად ხდება. მოთხრობა „მოხეტიალეები“ მოგვითხრობს ოთხ მეგობარზე. მათ ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ როდესაც შინ მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ ერთმანეთის „სუნი, ღმილი, სუნთქვა“.

მეგობრებს ხეტილი უყვარდათ. ერთხელ ისინი მიადგნენ ხევს. „ფსკერზე, ლოდებს შორის, წყალი მოიჟურებოდა. ერთ ადგილას გუბდებოდა — ლურჯად, ჩაიდუმალბუნლად, საკმაოდ დიდად. იქვე ბებერი წნორი იდგა, იმ წნორის წითელი ფესვები ტბორში ლივლივებდა.“ ბიჭებს ძალიან მოეწონათ ის ადგილი.

ამის შემდეგ მეგობრები ორჯერ წავიდნენ, მაგრამ ის ადგილი ვეღარ იპოვეს. მერე ომიც დაიწყო... ბიჭებისათვის ის დღე, ის ხევი იყო ბავშვური ფანტაზიისა და სინამდვილის მიჯნა. ამის შემდეგ ისინი დაეკარგნენ ერთმანეთს ისეთი, როგორც მანამდე იყვნენ — „ჯანმეგრები, სულით ძლიერნი, ბედნიერნი“. ცხოვრების გზაზე იმსხვერპიან ადამიანები და „მათგან ზოგისგან რა არის დარჩენილი, ზოგისგან რა“.

ახლა ძალიან ბევრს საუბრობენ და დაობენ იმის შესახებ, თუ რა გარდატეხა მოახდინა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ურბანიზაციის აღმავალმა ტემპმა ადამიანის სულიერ განწყობილებაზე. რა თქმა უნდა, შინაგანი გარდაუვალი პროცესები ალბათ მიმდინარეობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ცხოვრებაში ზოგჯერ ყალბად იქმნება „ეპოქის შესატყვის“ ადამიანთა ნიღბები, ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება ფაქიზი ადამიანური გრძნობებისადმი. ყოველივე ამან ლიტერატურაზეც მოახდინა გარკვეული გავლენა.

საბედნიეროდ, რევან ინანიშვილს აქვს თავისი მტკივე მწერლური და მოქალაქეობრივი პოზიციები. მას სწამს, რომ ის, რაც ადამიანისათვის დასაბამიდან წმიდათაწმიდაა, მისი დაკარგვა, მისი შებღალვა არ ეპატიება საზოგადოებას. მან ჯერ კიდევ 1973 წელს განაცხადა კრიტიკოსს ჯუმბერ თითქმისათან საუბრის დროს: „ძალიან მალეზიანებს მწერლებისადმი ისეთი დამოკიდებულება, თითქოს ისინი ქოხებისა და „ხელუხლებელი“ ბუნებისაკენ ენეოდნენ თანამედროვეებს“. მაგრამ განა მწერალს აქვს უფლება, გულგრილად უყუროს თანამედროვეობის ყალბი პოზით როგორ იღუპებიან ადამიანები. სწორედ ამგვარი სიმახინჯეების წინააღმდეგ იბრძვის მწერალი მოთხრობაში „ხელის-გულებით ნალესი ქოხი“.

ბალში უპატრონოდ მიტოვებულ,

მოლუშულ, ჩამოქუფრულ ხეებსაც კი, რომელთაც შემოდგომის წვიმა ძირსდაშვებული შავი ტოტებიდან ცრემლებივით ჩამოსდით, სჭირდებათ სიკეთე, ყურადღება და სიყვარული.

„მე სოფლის განაპირას, ვენახებში და ივრის ჭალებში გავატარე ჩემი ბავშვობა და იმ წყალ-ჭაღის ხმები მომდევს ცოცხადა და მადლად“, — ამბობს მწერალი. ამიტომაც მიდის ინანიშვილი ბუნებასთან ასე უშუალოდ, როგორც მისი ენის მცოდნე, მესაიდუმლე, გულშემატკივარი. იგი ქმნის ბუნების ნამდვილ ფერწერულ სურათებს ნაწარმოებებში: „ზამთრისპირის სევდა“, „ტყე“, „ზამთარში საღამოობით“ და სხვა.

„ჩიტების გამოზამთრებელში“ შევიდა ოთხმოცამდე ნაწარმოები. ყველა ისინი, როგორც ავტორიც აღნიშნავს, სხვადასხვა საკითხს ეხება. უზომოდ მრავალფეროვანია ამ კრებულის თემატიკა. მწერალს აწუხებს ძველი ქართველი ქალისა თუ „მემრომის“ მიძიმე ხვედრი, კაცური კაცის სიკვდილი, ერთ დროს ძლიერი, მხიარული, მერე კი დაქცეული ოჯახის ტრაგედია. კარგად ესმის სოფლისთვის გაუცხოებული ინტელიგენტისაც, რომელიც „ორმოში ჩავარდნილივით“ წრიალებს მამაპაპულ ეზოში და გული „ყუჩი ტკივილით“ ეხურება და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ... მოთხრობები სხვადასხვა საკითხს ეხება, მაგრამ მათი გმირები ერთ, სიკეთით სავსე ქვეყანაში ცხოვრობენ. ეს ქვეყანა ავტორის მიერ გაიდევლებული სამყარო კი არ არის, არამედ ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ყოველდღიური ყოფა, დანახული დიდი მწერლის თვლით.

მწერალი ნამდვილი ოსტატის ხელოვნებით ქმნის დიდი ემოციური დატვირთვის მქონე ნაწარმოებებს. იგი თვითონაც პოეტურად აღიქვამს ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ჩვეულებრივ მოვლენებს და მკითხველსაც ასევე განაცდევინებს ყოველთვის. რევან ინანიშვილმა იცის სიტყვის ძალა. ამიტომ ხარჯავს მას ასე მომჭირნედ და უადრესად მცირე მოცულობაში ატევს ბევრ ინფორმაციას, თანაც ისე, რომ საკმაო საფიქრალს უტოვებს მკითხველსაც.

რევან ინანიშვილის ლალი, თავისუფალი პოეტური მოთხრობები ქართული კლასიკური პროზის ფესვებიდან მოდის, ერწყმის ეპოქის ხასიათს და თანდათან იხვეწება და მდიდრდება.

„მცირე ფორმა ჩემთვის ის სფეროა, სადაც რალაც შეუცნობი მწვერვალები მისმობენ გამუდმებით“, — თქვა რევან ინანიშვილმა რამდენიმე წლის წინ. „ჩიტების გამოზამთრებელი“ უდაოდ ამ სიმაღლის ერთ-ერთი მწვერვალია. დამატებით შემოქმედებითი შრომა კი კვლავ გრძელდება.

ნათელა ბიორგოპიანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.

კიდევ სამიოდე თვე და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში სტარტს აიღებს ზაფხულის XXII ოლიმპიური თამაშები.

ამ საზეიმო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროფსაბჭო და ჟურნალ „დროშის“ რედაქცია აწყობენ კონკურსს: „რა იცით ოლიმპიადის შესახებ?“

ჩვენ მიერ დასმული კითხვები შეეხება ოლიმპიური თამაშების ისტორიას, ამ თამაშებში საბჭოთა ქვეყნების და სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობას, საქართველოდან წარგზავნილთა მიღწევებს ოლიმპიადებზე.

თითოეულ კითხვაზე გაცემული პასუხი ხუთბალანი სისტემით შეფასდება — იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორი და ამომწურავი იქნება პასუხი, კონკურსის მონაწილეს ერთიდან ხუთამდე ქულა დაეწერება.

გამარჯვებულთა გამოსავლენად შექმნილია ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი სპორტსმენები, სპორტის მოღვაწეები, ჟურნალისტები. ჟიურის ხელმძღვანელობს მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნინო ლუმბაძე.

კონკურსის კითხვებზე გაცემული პასუხები უნდა გამოიგზავნოს 1980 წლის 15 მაისამდე (საფოსტო შტემპელით).

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42, ჟურნალ „დროშის“ რედაქცია (სპორტული კონკურსისათვის).

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ხუთი პრიზი.

მათ შორის პირველი პრიზი — 1980 წლის ოლიმპიური საგზურია. გამარჯვებულთა ვინაობა გამოქვეყნდება ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე.

კითხვები

1. ყველა ოლიმპიური თამაში იმართებოდა თუ არა ოლიმპოში? ვინ, როდის და რატომ აკრძალა ოლიმპიური თამაშების ჩატარება ძველ საბერძნეთში?
2. აღწერეთ ოლიმპიური ემბლემა და ოლიმპიური აღამი. ვინ არის ამ ემბლემის ავტორი? როდის და სად აღიმართა პირველად ოლიმპიური აღამი?
3. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა როდის მიიღო გადაწყვეტილება ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე?
4. ზამთრის რომელ ოლიმპიადაზე ჩატარდა შეჯიბრება სპორტის ერთ-ერთ სახეობაში საერთაშორისო კი არა, ნაციონალური წესების დაცვით? დაასახელეთ წელი, ჩატარების ადგილი, სპორტის სახეობა, აღნიშნეთ რა ითვლებოდა საერთაშორისო წესების დარღვევად.
5. დაასახელეთ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც ყველაზე მეტჯერ იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებში. გაიხსენეთ, ვინ მოიპოვა ყველაზე მეტი მედალი?
6. დაასახელეთ საბჭოთა მძლეოსნები, რომლებმაც ორი და ორზე მეტი ოქროს მედალი დაიმსახურეს.
7. ოლიმპიურ თამაშებში პირველად როდის მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები?
8. დაასახელეთ პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში. ჩამოთვალეთ მისი უმაღლესი მიღწევები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.
9. საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონებიდან დაასახელეთ ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული სპორტსმენები.
10. ჩამოთვალეთ ოლიმპიური სპორტის სახეობები, რომლებშიც გამოდგინდნენ ქართველი სპორტსმენები. სპორტის რომელ სამ სახეობაში მოიპოვეს მათ ყველაზე მეტი მედალი? ვინ და როდის მოიპოვა ეს მედლები?

სიმღერა ლენინზე



ლექსი იოსებ ნონეშვილისა
Andante cantabile

მუსიკა შოთა მილორავასი

Soprano (S.), Alto (A.), Tenor (T.), Bass (B.) parts with lyrics in Georgian. The score includes dynamic markings like *mp* and *cresc.*, and tempo markings like *rit.* and *a tempo*.

Continuation of the musical score for Soprano, Alto, Tenor, and Bass parts, including piano accompaniment. It features various dynamics such as *mf*, *mp*, and *pp*.

ვერსიები ვითარდა და ბარდი,
დღის ტკბილი იახანა,
ჩვენი ბარდი, ჩვენი ზმარდი
და ბარდით სავსე ყანა.

ანთავალი ათასწორად
საქართველოს გაზაფხული,
შვიდნაკეცი ცისარტყელა
ყვივნარეზი დასატული.

ვისამღერო:
ლენინ,
სიცოცხლის
უშუო, ნათელი,
ასეთი არის
დღეს საქართველო!

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი. მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

გადამცემი სასაქონლო 25/II წ., ხელმოწერილია დასაბუქლად 3/IV წ., ქალაქის ზომა 70 1081/8, ფიზიკური ფურცელი 3,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,9, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 56350. შეკვ. 542. უფ. 00653. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კ. კ. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მღვიმის — 99-82-69, განყოფილება-თა გამგებების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოს... 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიზლიროთეკა



ქართული ნავთი.

პიპი თოიძე.
საქართველოს სსრ დამსახურებული
მხატვარი.



ენგურკესის მშენებლობაზე.


ვ. ი. ლენინის ძეგლი ბათუმის სტალინის
სახელობის ნავთობგადამამუშავებელ ქარ-
ხანაში.

მ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წინასწარგანჭკრება

1921 წლის 16 მარტს რკპ (ბ) X ყრი-
ლობის დახურვაზე გამოსვლისას ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა თქვა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“ ხოლო ცოტა ხნის შემდეგ „აზნავთის“ უფროსი ა. პ. სერებროვსკისადმი გაგზავ-

ტანკერები ნავსადგურში.





ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ნავთობ-
ჩასახმელი უბანი.

ნილ პირად წერილში ვლადიმერ ილიას
ძე უკვე კონკრეტულ ამოცანებს სახავეს:
„ახლა, როცა გვაქვს ბათუმი, მთელი
ძალებით უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება
სწრაფად გადავცვალოთ საზღვარგარეთ
ნავთობი და ნავთი მოწყობილობებით“

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს
ტანკერებს ყოველწლიურად ათი ათასო-
ბით ტონა ნავთობპროდუქტი გადააქვთ
მსოფლიოს ოცდაათ ქვეყანაში. ნავთობ-
პროდუქტი ბაქოს ნედლეულით დამზა-
დებულია ბათუმის სტალინის სახელო-
ბის ნავთობგადამამუშავებელ ქარხა-
ნაში.

ქარხნის, ცენტრალური სატრანზიტო
ნავთობბაზის კოლექტივებმა, ტანკერე-
ბის ეკიპაჟებმა დიდი წვლილი შეიტანეს
საბჭოთა აჭარის წარმატებებში, რომე-
ლსაც სრულიად საკავშირო სოციალის-
ტური შეჯიბრების შედეგებით მიენიჭა
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავ-
შირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო
პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო
ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდა-
სავალი წითელი დროშა



შემანქანებები ვაჟა ქლიბაძე და თამაზ ქავ-
თარაძე სტალინის სახელობის ნავთობგა-
დამამუშავებელი ქარხნის პროდუქტების
მიღების ტექნოლოგიური პროცესის ხაზ-
თან.

66/53

ინლაქსი 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა



3. ი. ლენინის კაბინეტი კრემლში.

თარხან არჩვადის ფოტო.

3. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის შენობა.

